პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქ. რ. ცეკომის
ორგანო

**24 დეკემბერი**
**შაბათი**

1918. გამოქვეყნდა ც. ა. კ. დეკრეტები ესტონეთის, ლიტვის და ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შესახებ.
1917. ალმოჩინეს კადეტების შეთქმულება, რომელსაც მიზნად ჰქონდა კაზაკების დიქტატურის დაწესება.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 1 ფსსერთო №

№ 245 შაბათი, 24 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 24 დეკემბერი, 1921 წ. № 245

**შაბათს, 24 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე**
მუშათა სასახლის პატარა დარბაზში (პირველი სართული) შესდგება

## სხდომა კომუნისტურ ფრაქციის პლენუმისა.

**დღის წესრიგი:**

1. სატარიფო საკითხი.
2. მიმდინარე საკითხები.

სხდომას აუცილებელია დაესწრონ: ამხ. კომუნისტები, საბჭოს პლენუმის წევრები, კავშირთა გამგეობის წევრები და სამეურნეო ორგანოებში გამოგზავნილი დელეგატები.

ს. პ. კ. ს. ფრაქციის ბიურო.

## საქართველოს მენშევიკების ჯალათური გეგმები

ჩვენ მივაქცევთ საქართველოს მუშებისა და გლეხების ყურადღებას ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ წერილზე, სადაც მოთხრობილია იმ ჯალათური გეგმების შესახებ, რომლებსაც ამუშავებდნენ და ატარებდნენ ცხოვრებაში იმპერიალისტების დასახმარებლათ საქართველოს მენშევიკები. დღევანდელ მონათმფლობელებთან ერთათ ჩვენი ქვეყნის ყოფილ ბატონ-პატრონებს მოსვენებას არ აძლევდა რუსეთში არსებული მშრომელთა რეჟიმი, რომელიც მათი აზრით—და ყველა იმპერიალისტების აზრითაც—წარმოადგენდა „ცუდ მაგალითს" სხვა ქვეყნების ხალხებისთვის. მათთვის უდავო იყო, რომ მომავალი არსებობა მათი ტახტის საქართველოში მოითხოვდა რუსეთის საბჭოთა სისტემის მოსპობას, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ „ცუდი მაგალითი" „მოსწამლავდა" ჩვენი ქვეყნის მშრომელთ და ტალღები სოციალისტური რევოლიუციის სწვდებოდა მენშევიკურ „ოაზისსაც". საჭირო იყო ასეთი არა სანუგეშო მომავლის თავიდან აცილება. მაგრამ, ვინაიდან დასახული მიზანი, დამარცხება რუსეთის რევოლიუციის, აღემატებოდა მათ შედარებით სუსტ ჯალათურ ძალებს, საჭირო იყო დასამარება უფრო ძლიერი გარეშე ძალის და ასეთი კი იყო, მათი აზრით, ანტანტა. მათ თანახმათ და სრულიათ სამართლიანადაც—ეს უკანასკნელი დაინტერესებული იყო რუსეთის რევოლიუციის ჩაქრობაში, რადგან რუსეთი, გარდა იმისა, რომ იქ დაბანდებულია მოკავშირეთა კაპიტალისტების ოქრო და ამიტომ დაინტერესებული არიან ისინი ჩაერიონ ამ ქვეყნის შინაურ საქმეებში. ის, გარდა ამისა, ჰქმნიდა დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ კაპიტალის ავაზაკებს „დაემყარებიათ ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობანი და ხანგრძლივი მშვიდობიანობა". ასე ესმოდათ ჩვენ მენშევიკებს მოკავშირეების ის როლი, რომლისთვისაც მათი აზრით მოწოდებული იყვნენ ისინი. საქართველოს მენშევიკებს სწყუროდათ ამიტომ, ეს ძლიერი ძალა ჩარეულიყო რუსეთის საქმეების „მოწესრიგებაში" აქტიურათ და პასიურათ. „აქტიურათ"—ჯარით თავდასხმა რუსეთზე და ეს ისეთი ენერგიით, რომ მას მოეხდინა „დიდი შთაბეჭდილება" რუსეთში ანტანტის ძლიერების და ბოლშევიკების სისუსტის, მათი დამარცხების შესაძლებლობის ე. ი. გაენადგურებიათ მუშურ-გლეხური რევოლიუციონური ხელის-უფლება. „პასიურათ"—ეკონომიური ბლოკადით, რომელიც გააადვილებდა სამხედრო ოპერაციებს და მიზანი მიღწეული იქნებოდა ე. ი. როგორც ჩხენკელის გამოქვეყნებული დოკუმენტი ამბობს „მაქსიმალურ შედეგებს გამოიღებდა მინიმალური ძალის დახარჯვით". ასეთი იყო გეგმები საქართველოს მენშევიკების. ჩვენ ხალხს, რომელიც ათეულ წლების განმავლობაში მხარიმხარ იბრძოდა რუსეთის ხალხთან ერთათ ძველი რეჟიმის წინააღმდეგ და ამიტომ მის სულში და გულში გაბჯნილი იყო გრძნობა და გადაწყვეტილება სოლიდარული მუშაობისა და ამ ბრძოლის, ჩვენ ხალხს ვერც ისე ადვილათ გაუმჟღავნებდნენ ეს უბადრუკი „სოციალისტები" თავის გეგმებს, სხვისი ძალითა და ხელებით რუსეთის გაგუდვის შესახებ. ისინი სიტყვით წინააღმდეგი იყვნენ თითქოს ინტერვენციის, გარეშე ძალების რუსეთის საქმეებში ჩარევის. ხოლო ფაქტიურათ ეს პირშავი გმირები ღალატისა და მუხანათობის, ჩუმათ, ქართველი ხალხის ზურგს უკან დანას ლესავდენ და ხმარობდენ რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ ყველა მის შინაური და გარეშე დანარჩენ ჯალათების დახმარებით. ეს დაამტკიცა ფაქტებისა და დოკუმენტების მთელმა რიგმა, რომლებმაც ყველას დასანახათ გამოაქჟიაქეს დღის სინათლეზე მენშევიკური სამეფოს საგმირო საიდუმლოებანი და ერთხელ კიდევ დასტურდება დღეს ჩვენ გაზეთში მოყვანილი მასალით.

საქართველოს მშრომელი მასსები, მშრომელი ხალხი მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების კიდევ ზედმეტად დარწმუნდებიან, თუ ვინ განაგებდა სხვა მსგავს ჯალათებთან ერთათ ბედ-იღბალს ამიერ კავკასიისას, ვინ უდგა სათავეში მის საქმეებს და მის მომავალს. რევოლიუციონურმა ხალხმა შური იძია ამ გამცემლებზე და ამ შურისძიების ერთი წლის თავი, რომლის მოლოდინში ვართ ჩვენ, აღინიშნება ქვეყნის ახალი, ჭეშმარიტი ბატონ-პატრონის მოსვლით, საბჭოთა ყრილობით, რომელიც საბოლოოდ განამტკიცებს ახალ საქართველოს მდგომარეობას და უზრუნველჰყოფს, მეზობელ ხალხებთან მჭიდრო კავშირის გზით, ქვეყნის აღორძინებასა და მის მომავალს.

## თეთრგვარდიელთა პრესა

დამარცხებული რუსეთში, შორს გადატყორცნილი რევოლიუციის ძლევა მოსილი მსვლელობით, რუსეთის ლიბერალურ კონტრ-რევოლიუციონური ემიგრანტი უცხოეთში ეწევა დღეს „საარიერგარდო ბრძოლას" თავის უკანასკნელ, უკვე საკმაოთ წყალ შემდგარ და შერყეულ პოზიციებზე. მისი უკანასკნელი იმედია, როგორმე ხელი შეუშალოს საბჭოთა მთავრობას, ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს რუსეთსა და კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის. ის „შესვენება", რომელიც მოჰყვება შედეგათ ასეთ ურთიერთობის დამყარებას და საშუალებას მისცემს საბჭოთა რეჟიმს კიდევ უფრო გამაგრდეს, განმტკიცდეს და ხელში მოიკრიბოს მომავალი აუცილებელი ბრძოლებისთვის მთელი შესაძლებლობანი უზარმაზარი საბჭოთა ფედერაციის, არ ასვენებს ამ ფედერაციის მოსისხლე მტრებს. ამ აზრით საინტერესო წერილია მოთავსებული პ. ნ. მილიუკოვის გაზეთში „პოსლედნეი ნოვოსტი" (№ 470), რომელიც გამოდის პარიზში. გაზეთის მეთაური სწერს „სავაჭრო მისიების" შესახებ შემდეგს:

„ინგლისის ფირმამ „ფენტონ ტექსტილ ლიმეტედ" აღძრა საჩივარი საბჭოთა მისიის, საბჭოთა კოოპერატიული საზოგადოების და პირადათ კრასინის წინააღმდეგ 45-ზე ცოტა მეტ გირვანქა სტერლინგზე. გადატანილმა სააპელაციო ინსტანციაში, სავაჭრო ფირმის საჩივარმა ბოლშევიკურ სავაჭრო მისიის წინააღმდეგ მიიღო ხასიათი პრინციპიალური დავის იმის შესახებ, თუ რა საზღვრებში უნდა ნახოს თავის გამოხატულება კრასინის მისიის უფლებებმა ინგლისში.

იმ ცნობების მიხედვით, რომლებსაც იძლევიან „დეილი ჰერალდი", „დეილი ტელეგრაფი" და სხვა ინგლისის გაზეთები, ძირითადი კითხვა, რომელიც წინასწარ უნდა გადაჭრას ამ დავაში, არის კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენათ შეიძლება საზოგადოთ განხილულ იქნას საჩივარი, რომელიც აღძრა ზემოხსენებულმა სავაჭრო ფირმამ საბჭოთა მისიის და კრასინის წინააღმდეგ. კრასინის ხანგრძლივმა შემორჩენამ ინგლისში და მის მიერ წამდაუწუმ ისეთი საქმეების წარმოებამ, რომლებიც სცილდებიან სავაჭრო მისიის მეთაურის უფლებების ფარგლებს შექმნეს თვით კრასინში რწმენა, რომ დადგა დრო დაკანონებულ იქნას მისი გაფართოვებული რწმუნებულებანი. ამ გაფართოვებას იმით ხსნიდნენ, რომ თავისმუშაობის პროცესში, ინგლისში, კრასინს უხდებოდა გამოსულიყო დიპლომატიური წარმომადგენელის როლში და სწარმოებდა მოლაპარაკება ინგლისის მთავრობასთან ისეთ კითხვების შესახებ, რომლებიც არ ეხებიან რუსეთის სავაჭრო დამოკიდებულების საქმეს დიდ ბრიტანეთთან. კრასინის მოლაპარაკება ლორდ კერზონთან ბოლშევიკური აგიტაციის შესახებ ინდოეთში და ავღანისტანში მაგალითია იმისი, რომ რუსეთის სავაჭრო მისიის წარმომადგენელს ინგლისის კაბინეტი თვლიდა ხშირათ რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლათ. როდესაც აბარებდა ლორდ კერზონს ჩიჩერინის ლიტერატურულ ნაწარმოებთ, კრასინი სჩადიოდა ამას აგრეთვე არა როგორც მეთაური სავაჭრო მისიის 1921 წლის თებერვალში და მარტის დასაწყისში ე. ი. 16 მარტს ინგლისსა და საბჭოთა მთავრობათა შორის დადებულ ხელშეკრულებამდი, როგორც რუსეთის პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწენი, ისე ინგლისის პარტიის წევრები აფრთხილებდნენ ლოიდ ჯორჯს იმაში, რომ საბჭოთა რუსეთის სავაჭრო მისია ბოლოს და ბოლოს გადაიქცევა ბოლშევიკების ფაქტიურ დიპლომატიურ წარმომადგენლობათ. ეს შესაძლებლობა ჩასახული იყო თვით თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა ბუნებაშივე, როდესაც „დიპლომატია" და „ვაჭრობა" ერთმანეთისაგან განუყოფელი არიან.

თუ რვა თვის წინათ ლლოიდ-ჯორჯი ამშვიდებდა დიდი შეცდომის ჩადენის გამაფრთხილებელთ—დღეს ამბებმა დაამტკიცა, ფაქტებმა დაადასტურა გათვალისწინებული საშიშროება. და დღეს სამსაჯულოს წესით წარმოების გადაწყვეტა კითხვის იმის შესახებ, თუ როგორი ხასიათი აქვს კრასინის მისიას, უკანასკნელის ვექილი უარჰყოფს, რომ შეიძლებოდეს საჩივრის აღძვრა კრასინის წინააღმდეგ, რომელიც სარგებლობს იმმუნიტეტით, შეუვალობით, როგორც უცხო სახელმწიფოს „სრულუფლებიანი წარმომადგენელი". ხოლო ამ იმმუნიტეტით სარგებლობს კრასინი, არა, რასაკვირველია, როგორც მეთაური სავაჭრო მისიის, არამედ როგორც დიპლომატიური წარმომადგენელი რუსეთის.

მომჩივრის ვექილი სადავოდ ხდის კრასინის მდგომარეობას, როგორც დიპლომატიური წარმომადგენლისას, რადგან ინგლისს დღემდე არ უცვნია დეიურე საბჭოთა მთავრობა. და მართლაც, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, შეკითხულმა ამის შესახებ, უპასუხა, რომ საბჭოთა მთავრობა არ არის ცნობილი დე იურე. სხვანაირათ რომ ვთქვათ, კრასინის პრეტენზიები იმმუნიტეტის შესახებ, მოკლებული არიან ყოველგვარ საფუძვლებს...

რას გადასწყვეტს სამსაჯულო—ამის თქმა ძნელია. მაგრამ შესაძლებელი კი არის, რომ, თუ ის მიიღებს მხედველობაში საქმის ფაქტიურ მხარეს, რომელიც მოწმობს, რომ კრასინი დეფაქტო არა ერთხელ გამოსულა საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლის როლში, სამსაჯულო შეჰმოსავს მას იმმუნიტეტის უფლებით და უარს იტყვის საჩივრის გარჩევაზე. ამ შემთხვევაში მის გადაწყვეტილებას მიეცემა უდიდესი პრინციპიალური მნიშვნელობა, რომლის შედეგები განუზომელი იქნებიან.

მაგრამ როგორრათაც არ უნდა დაბოლოვდეს ეს პროცესი, მისი მნიშვნელობა ახლაც დიდია. იჩრებიან რა სხვადასხვა ქვეყნებში, სავაჭრო მისიის ფლაგის ქვეშ, ბოლშევიკები სრულიადაც არა ფიქრობენ თავისი მოღვაწეობა შეზღუდონ სავაჭრო წარმომადგენლობის ფარგლებით. ეს ეწინააღმდეგება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა იმ ხასიათს, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით. თუ ოდესღაც სალდათს უკან მისდევდა ვაჭარი—დღეს ვაჭარს მიყვება სალდათი. როდესაც ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეები ვაჭრობას იწყებდნენ საბჭოთა რუსეთთან, მათ უნდა სცოდნოდათ, რომ კრასინის „სავაჭრო წარმომადგენლობის" ფარგლები გაფართოვდებოდნენ და მათ ადგილს დაიჭერდა დიპლომატიური წარმომადგენლობა. იგივეს ვამჩნევთ ჩვენ დღეს იტალიაში, სადაც ვოროვსკის სავაჭრო მისია მოსკოვის დიპლომატიური წარმომადგენელია ფაქტიურათ.

ამნაირათ, ბოლშევიკების „სავაჭრო მისიას" კითხვა გულისხმობს ძირითად კითხვასვე საბჭოთა ძალა-უფლების ცნობის შესახებ. თუ უარსაყოფია უკანასკნელი—საჭიროა არ შემოუშვა სავაჭრო მისიები. და პირიქით: შემოშვება უკანასკნელების რომელიმე ქვეყანაში ნიშნავს ამ ქვეყნის მიერ მოსკოვის მთავრობის ცნობას"...

* *
*

ჩვენ გაზეთში უკვე იყო მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ ყოფილ კონტრ-რევოლიუციონური ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა გამოსცა ამ ექვსი თვის წინათ ქ. პრაგაში კრებული „სმენა ვეხ", სადაც ავტორები, ჰგმობენ რა თავის წარსულ მოღვაწეობას, მოუწოდებენ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, იცნოს საბჭოთა რეჟიმი და დაბრუნდეს რუსეთში. ინტელიგენციის იგივე ჯგუფი სცემს ეხლა თავის კვირეულ ჟურნალს, რომელსაც ეკამათება მილიუკოვი. „შემთანხმებლები" სწერენ: „სმენა ვეხ"-ის ყოველკვირეულ ჟურნალს სურს იყოს შემდეგ ეტაპათ საზღვარ-გარეთ მყოფ რუსეთის ინტელიგენციის შერიგებაში რუსეთთან და მის ინტელიგენციასთან".

კონტრ რევოლიუციონურ ინტელიგენციის შესახებ ეს „განდგომილები" სწერენ სხვა შორის: „უძლური რომ თვითონ იბრძოლოს იარაღით ხელში, ის უსისიანებს რუსეთის სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილთ და ჰქვიანს ტერრორს. დაჰკარგა რა იმედი აჯანყებების, ის იმედით შეჰყურებს დღეს შიმშილით გამოწვეულ საშინელებას, უარს ეუბნება დახმარებაში და დამშეულთა ამოჭლეტის ხელის შეწყობით სურს ერთი რამ: არსებული მთავრობის ჩამოგდება. ახლა უკვე ცხადია, რომ ვერც შიმშილი უშველის მას, ის ვერ გაამართლებს მის მოუთმენელ მოლოდინს, მაგრამ მაინც უიმედოთ, უაზროთ, უმიზნოთ იმეორებს ის ნაჩვევ ფორმულას: „ძირს ბოლშევიკები".

## რუსეთის კომუნ. პარ. კონფერენცია

**მოსკოვი, 22 დეკემბერი.** (რადიო. 20 დეკემბრის სხდომაზე რუსეთის პარტიულმა კონფერენციამ მოისმინა ამხ. კამენევის და ბოგდანოვის მოხსენებები:

**ამხ. კამენევის მოხსენება.**

თავისი მოხსენება ამხ. კამენევმა დაიწყო იმის აღნიშვნით, რომ სამეურნეო ღონისძიებები, რომლებსაც ჩვენ ვატარებდით სამოქალაქო ომის ხანაში, 1920 წლის გაზაფხულამდე, გამოწვეული იყო უშუალო ბრძოლით ბურჟუაზიასთან, რომელიც შლიდა თავის წარმოებას და ხდიდა მას პოლიტიკურ და სამოქალაქო ბრძოლის იარაღად. წმინდა სამეურნეო ხასიათის მოტივები მაშინ მეორე რიგში იდგა.

„ომის ხანამ, ამბობს ამხ. კამენევი, როდესაც მეურნეობის გეგმიანი აშენება მეორე ალაგას იდგა, განვლო პოლიტიკურ ბრძოლის შემდეგ. სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა გახდა მთავარი საკითხი. ომამდე პურის მოსავალი რუსეთში ითვლებოდა 4 ნახევარ მილიარდ ფუთამდე. 1920 წელში მრავალი შეადგენდა მხოლოდ 2,2 მილიარდ ფუთ პურს. ჩვენ აღმოგვაჩნდა ომამდე არსებულ პურის მარაგის ნახევარი. ჩვენ არ შეგვეძლო პოლიტიკის წარმოება ამ გარემოებისათვის ანგარიშის გაუწევლად. 1916 წ. დათესილი იყო 81 მილ., დესეტინა, 1920 წელში—მხოლოდ 60 მილ. 25 პროც. დაუთესავი მიწა და ჭირნახულის ნახევარის დაკარგვა,—აი ის ძირითადი ფაქტორები, რომლებისათვის ჩვენ ანგარიში უნდა გაგვეწია. გლეხობამ ჩვენს პოლიტიკაზე, რომელიც იძულებული ვიყავით გვეწარმოებია, თავის მეურნეობის შემცირებით გვიპასუხა. ეს არ იყო რეაქცია პოლიტიკური, ეს იყო წვრილ ბურჟუაზიული მეურნეობის რეაქცია.

ვადარებთ რა წარმოებას 1913 წლიდან 1921 წლამდე, ჩვენ გვაქვს შემდეგი ციფრები: ამოღებულია ნახშირი 1913 წელში—1.038.000.000 ფ. 1920 წ.—406 მილ. ფ., ამოღებულია ნავთი 1913 წ—562 მილ. ფუთი, 1920 წ.—250 000 ფ., ამოღებულია მადანი 1913 წ.—638 000 ფ, 1920 წ.—10.000 ფუთი, დამზადებულია თუჯი 1913 წ—259 მილ. ფ, 1920 წ.—6 მილ. ფ. 1921 წლის გაზაფხულისათვის ჩვენი მრეწველობის ნაყოფიერება დაეცა 80 პროცენტით. თუ სოფელი გაღარიბდა ორჯერ, ქალაქი გაღატაკდა ხუთჯერ. ქალაქსა და სოფელ შორის შეიცვალა სოციალური დამოკიდებულება.

სასურსათო გადასახადი—ახალი ხელშეკრულებაა გლეხობასთან; აქედან პირველი დასკვნა—საჭიროა ახალი ხელშეკრულობა პროლეტარიატისა გლეხობასთან. პირველი ხელშეკრულება შეიცავდა მიწის სოციალიზაციას, მეორე ხელშეკრულობა—არა დაწერილი, ზეპირი, დადებულ იქნა ომის ველზე თეთრ-გვარდიელებთან ბრძოლაში. ახლა ჩვენ გადავედით ახალ ხელშეკრულებაზე—სასურსათო გადასახადზე. სასურსათო გადასახადი ორ ნახევარჯერ უფრო ადვილია წინანდელი წლის გაწერაზე. ჩვენ ვიღებთ გლეხებიდან ორ მეხუთეთჯერ ნაკლებს, ვინემ 1920 წელში. ეს ციფრი ეკუთნის 940 მილ. ფუთის ანგარიშს, რომელიც ჯერ მთლად არ არი აკრეფილი. შეკავშირებულმა პროლეტარიატმა და საბჭოთა ხელისუფლებამ დაუთმეს გლეხობას ამ წლის გაზაფხულზე პურის განსაზღვრული რაოდენობა. სასურსათო გადასახადი მოასწავებს პრინციპიალურ ცვლილებას გლეხობის და პროლეტარიატის ურთიერთობაში. ცნობა გლეხის მიერ გაყიდვის წარმოების უფლებისა იწვევდა ყიდვის უფლების ცნობასაც.

ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის პირველი მომენტი ჩვენი მეურნეობის საფუძვლად უდევდა საქონლის გაცვლა-გამოცვლას. საქონლის გაცვლის გზით განზრახული იყო 6-7 მილ. ფუთის აღება, 6 ნოემბრისათვის მივიღეთ მხოლოდ 3 მილიონი. საქონლის გაცვლა ჩაიფუშა იმ აზრით, რომ გადაიქცა სყიდვა გაყიდვად. ასეთია კოოპერაციის მდგომარეობაც ამ გვარად, ის პოლიტიკა, რომელსაც მივხვდით გაზაფხულზე, და ის რეალური ვითარება, რომელშიაც ვცხოვრობთ დეკემბერში, ფრიად შეიცვალა დღევანდლამდე, განზრახულთან შედარებით, ძალიან მცირეა აკრეფილი სასურსათო გადასახადი—პურეული.

ჩვენი პურის ბალანსში დიდი მინუსია. რით შევავსებთ ამას! მატერიალურ ღირებულების შემოზიდვა საზღვარგარედ ნ მხოლოდ ოქროზე შესყიდვის გზით შეიძლება. ოქროს შენახვა მარაგში მიზანშეუწონელია. პური შეიძლება მივიღოთ მხოლოდ სოფლად, გლეხობისაგან. ახალი დაწოლა გლეხობაზე ეხლა დაუშვებელია და განუხორციელებელი. რჩება მხოლოდ ერთი გზა—საჭიროა პური შევიძინოთ ბაზარზე. სახელმწიფოებრივი საჭიროება გვაიძულებს გლეხობასთან დავდოთ ახალი ხელშეკრულება. მეფე ცარცვავდა გლეხს. საბჭოთა ხელის-უფლება იღებს მისგან, რაც აუცილებელია. გლეხს არა აქვს საფუძველი უპირატესობა მიანიჭოს ბურჟუაზიულ მთავრობის სავაჭრო კრედიტს სახელმწიფოს კრედიტზე. პროლეტარული მთავრობა ყველაზე უფრო იაფია გლეხისათვის. ის, რასაც ჩვენ ვიღებთ სასურსათო გადასახადის სახით, ის 6 დღე უფასო შრომის ბეგარისა, რასაც ჩვენ ვაკისრებთ,—ყველაფერი ეს შეადგენს 3—4 მანეთს ოქროს ვალიუტით: მაშინ როცა ყველა გადასახადის ჯამი, რომელსაც მეფის მთავრობა ახდევინებდა გლეხს, უდრიდა 10—11 მან. თუ ეხლა ჩვენ გლეხს მისი პურის სანაცვლოდ ვერ მივცემთ ჩვენი წარმოების პროდუქტებს, ვერ მოხდება გადასვლა სოფლის მომხმარებელი მეურნეობიდან წარმოებითზე. მთავარი საქმეა გამოვიჩინოთ უნარი, მივყიდოთ გლეხს გაეროვნებულ მრეწველობის პროდუქტები და ვიყიდოთ გლეხისაგან ის, რაც აკლია გაეროვნებულ წარმოებას და საბჭოთა სახელმწიფოს. ჩვენ უნდა კონტროლი გაუწიოთ კერძო კაპიტალისტურ ბაზარს, თვალყური ვადევნოთ და გვქონდეს აღრიცხული. ჩვენი მიზანია შევაგროვოთ მთელი ძალები ერთ მუშტად, თავი მოუყაროთ მათ ერთ ფრონტზე, ერთ მბრძანებელ სიმაღლეებზე. ეს ბრძანებელი სიმაღლეებია: მიწის ნაციონალიზაცია, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს და პროლეტარიატს, ტრანსპორტის და საგარეო ვაჭრობის ნაციონალიზაცია. ვფლობთ რა მათ, ჩვენ გვიკავია გასაღები ყველა პოზიციებისაკენ.

**მოსკოვი. 23 დეკემბერი.** (რადიო). (დასაწყისი არაა მიღებული),.. მას დასახული აქვს სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია, სადაც უნდა მიიზიდონ სამუშაოდ მობილიზაცია მოხდილნი წითელ არმიელები და საერთოდ ყველა ხელმოკლე გლეხები. სამეურნეო საბჭოები უნდა გადაიქცენ იმ ცენტრებად, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით.. (გამოშვებულია მიწის მოწყობის საქმეში, საჭიროა ნეიტრალურ პოზიციის დაჭერა, რამდენადაც ეს მოსახერხებელია გამოშვებულია)..მაგრამ მაინც მიღებულ უნდა იყოს ზომები, რომ მიწის მფლობელობის ფორმა იყოს გამოსადეგი, ხელსაყრელი, მტკიცე და უზრუნველყოფილი გარედან. შესახებ სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის საკითხისა უკრაინაში მოხსენებას აკეთებს ამხ. მანუილსკი. იგი უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა უკრაინაში, მეტად მძიმე პირობებშია ჩავარდნილი. უკრაინას დრო არა აქვს თავი გაართვას მასზე დაკისრებულ მოვალეობას სასურსათო გადასახადის სფეროში. საშიროა, რომ ამ საკითხს პარტიის მხრივ დიდი ყურადღება მიექცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე კატასტროფით გათავდება, როგორც პრაქტიკული ზომა, იგი უთითებს იმაზე, რომ უკრაინაში გადაწყვეტილია ხელმოკლე გლეხებისათვის სათესლედ აღებულ იქნას, სესხი სოფლის მდიდარ გლეხებისაგან. იმ პირობით კი, რომ თუ პირველნი ვერ შესძლებენ ვალის გადახდას ახალ მოსავლიდან, მაშინ სესხად აღებული ხორბალი გამოერიცხებათ მომავალ წლის სასურსათო გადასახადის ანგარიშში. ამხ. მანუილსკი მოუწოდებს პარტიას მხურვალე მონაწილეობა მიიღოს სათეს კამპანიაში. დასასრულ ირჩევენ კომისიას, ერთ მთლიან საბოლოო რეზოლიუციის დასამუშავებლად. ყველა სამეურნეო საკითხების შესახებ, რომლენიც კონფერენციის დღის წესრიგში უნდა იქმნენ შეტანილი.

## საბჭოთა რუსეთი და ფინეთი

**ნაუენი, 23 დეკემბერი** (რადიო). საბჭოთა მთავრობამ გაიწვია უკან თვისი წარმომადგენლები რუსეთ-ფინეთის კომისიიდან. გაწვევა დაკავშირებულია ფინეთის მთავრობის დამოკიდებულებასთან კორელიის საკითხისადმი.

## კაპიტალიზმის სამეფოებში

### გერმანია.

**გაფიცვა გერმანიაში.**

**ათინა. 5 დეკემბერი,** საბერძნეთის ბეჭვდითი ბიურო იტყობინება: „მთავრობის მიერ მიღებულია ენერგიული ზომები ცენტრალური ელექტრონის სადგურის მუშების გაფიცვის წინააღმდეგ. აღრიცხვაზე აყვანილი მუშები, მოხსნეს აღრიცხვიდან და ფრონტზე გააგზავნეს. გაფიცვის მოთავეები მიცემულია სასამართლოში და ამასთან ბევრი მუშები დატუსაღებულია. გამოირკვა, რომ მუშებმა გააფუჭეს ბევრი მთავარი მანქანები. ბურჟუაზიული პრესა ილაშქრებს მუშების წინააღმდეგ, რომლებსაც ის ბრალს სდებს გაუფრთხილებლათ გაფიცვის გამოცხადებაში".

### ინგლისი.

**კერზონი ოსმალეთის შესახებ.**

**ლონდონი. 6 დეკემბერი.** ლორდ კერზონმა ერთერთ კრებაზე განაცხადა: თუმცა ოსმალეთი ომობდა ინგლისის წინააღმდეგ, თუმცა ოსმალები დამნაშავე არის აუარებელ სასტიკ ბოროტებაში, თუმცა ინგლისმა გაიმარჯვა ოსმალეთზე, მაგრამ მაინც ინგლისი არ სცნობს საჭიროთ იყოს ცუდ განწყობილებაში მუსულმანურ სახელმწიფოებზე ინგლისმა უნდა მიიღოს ყველა ზომები ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტის საზღვარის დასადებათ და დაარწმუნოს ოსმალეთი და საბერძნეთი, რომ ახლო აღმოსავლეთში ორივე ამ ქვეყნებს ეყოფათ ადგილი.

### საფრანგეთი

**ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულება.**

**პარიზი, 11 დეკ.** „მატენს" მოჰყავს გაზეთ „აქსიონ ფრანსეზიდან" შემდეგი ამონაწერი: „ინგლისს სურს მინიმუმადე დაიყვანოს ჩვენი უფლებები და საერთოდ მეტად უკმაყოფილოა ჩვენი გაძარჯვებით. ამიტომ ყველაფერი, რასაც ჩვენ გავიყოფთ აღმოსავლეთში, გამოიწვევს ინგლისის მხრიდან მკაცრ და ფარისევლურ კრიტიკას. ვიტყვით მართალს, ჩვენი ინტერესები აღმოსავლეთში ერთმანეთს ეჯახებიან. ინგლისს სურს გამოაცალოს საფრანგეთს ის უპირატესობანი, რომლებსაც ის იღებს აღმოსავლეთში იმის გამო, რომ მოასწრო ინგლისის გაფრთხილება და ქემალთან მოლაპარაკების დასრულება. ინგლისელები ოცნებობენ ოსმალეთთან ახალი ხელშეკრულების დადებას, რომლის ძალით შესაძლებელი იქნება დაუბრუნდეს ინგლისს დაკარგული გავლენა აღმოსავლეთში".

„ჰელ მელ გაზეთი" სწერს: „ეჭვს

ბადებს ის ფაქტი, რომ საფრანგეთის მთავრობა ასე დიდხანს ინახავდა საფრანგეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების ტექსტს. ბუნებრივია ინგლისის ალშფოთება საფრანგეთის იმ საჩქარის გამო, რომელიც საფრანგეთმა გამოიჩინა ამ ხელშეკრულების დადებაში მოკავშირეების გაუფრთხილებლად. ბოლოს, ფაქტად რჩება ის, რომ საფრანგეთმა ბედის ანაბარად მიატოვა ნაციონალური უმცირესობანი, რომლებზედაც ზრუნვა სალხთა ლიგის მანდატის ძალით მინდობილი ჰქონდა სწორედ საფრანგეთს. აქიდან შეიძლება ერთი დასკვნა: საფრანგეთს, რომელმაც ბედის ანაბარად მიატოვა სომხები ოსმალეთში, არ აქვს უფლება საყვედური უთხრას გერმანიის იმაში, რომ ის ხელს უწყობდა თავის დროზე ენვერ-ფაშის მიერ დაწყებულ სომხების ხოცვა ჟლეტას.

## იტალია.

**ანტანტა და იტალია.**

**რომი.** 21 დეკემბერი, (რადიო). შესდგა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა გარეშე საქმეთა მინისტრ დელა-ტორეტტოს მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. დელა-ტორეტტო შეეხო ლონდონის თათბირს და აღნიშნა, რომ იტალია, რუსეთის საკითხის სწრაფად გადაწყვეტას ჩასთვლიდა საჭიროდ ევროპის მშვიდობიანობის დასამყარებლად და მის ეკონომიურ ცხოვრების აღსადგენად.

— წინააღმდეგ გავრცელებულ ხმებისა, ვითომც საფრანგეთი უარზეა დაემორჩილოს ვაშინგტონის კონფერენციას, საზღვაო შეიარაღების შემცირებაზე, ბრიანმა აცნობა ამერიკის ელჩს, რომ საფრანგეთი მზადაა, მიიღოს ხიუგას ყველა წინადადებანი და დაიყვანოს თავის ტონაჟი განსაზღვრულ ციფრამდე.

**იტალია და რუსეთი.**

**რომი,** 31 დეკემბერი (რადიო). 20 დეკემბერს დეპუტატთა პალატაში იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა დელა-ტორეტტომ პასუხი გასცა ფლორას შეკითხვაზე. რუსეთში მყოფ იტალიელების სამშობლოში დაბრუნების შესახებ დელა-ტორეტტომ უპასუხა, რომ სხვადასხვა დაბრკოლებელ მიზეზთა წყალობით ეს საკითხი გართულებულია. ერთ მემარცხენე დეპუტატთაგანმა შენიშნა, რომ ყველა დაბრკოლებანი ძლეულ იქნება, თუ რომ აღადგენთ კავშირს საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან.

**ამერიკა უკმაყოფილოა საფრანგეთით**

**ნაუენი,** 22 დეკემბერი (რადიო). ამერიკული პრესსა უსაყვედურებს საფრანგეთს, რომ იგი, ისედაც უძლიერესი ევროპიული სახელმწიფო ხმელეთზე, მოითხოვს დატოვებას თავის ფლოტისას, რომელიც სიძლიერით უდრის იტალიის, ისპანიის და სამხრეთ-სლავიის ფლოტს ერთად აღებულს. ამერიკული პრესა აცხადებს, რომ საფრანგეთს შეუძლიან ფლოტის აგება, მხოლოდ იმედი არ უნდა ჰქონდეს ამერიკის ფინანსიურ დახმარებისა. ამერიკას არ შეუძლიან ხელი შეუწყოს საფრანგეთს მილიტარიზმის გაძლიერებაში და მილიარდ დოლარების ხარჯში შეიარაღების გასაძლიერებლად, რომ ბოლოს იბატონოს მთელ ქვეყნიერებაზე.

**კიდევ ვერსალის ხელშეკრულება**

**ნაუენი,** 21 დეკემბერი (რადიო). „ჟურნალი დედება" სწერს: თუ ლოიდ ჯორჯის გეგმაში შედის განზრახვა ვერსალის ხელშეკრულობის გადასინჯვისა, მაშინ ბრიანი საფრანგეთის მხრივ სრულ კატეგორიულ უარს განაცხადებს.

# შორეულ აღმოსავლეთის ამბები

**ვის ვეომებით.**

**მოსკოვი.** 22 დეკემბერი. (რადიო მერკულოვის ეროვნული რუსული ლაშქარი, მხოლოდ სახელითაა რუსული, ნამდვილად კი, იგი იაპონელ ჯარისკაცებისაგან შესდგება. არც ერთი სემიონოველი და კაპელეველი ჯარისკაცი და აფიცერი, იაპონელების ნებადაურთველად ფეხს ვერ გადასდგამს. ბრძანებები და განკარგულებები იაპონიის შტაბის ნებართვით იცემა. თვითეულ ეშელონს ნებართვა იაპონიის სარდლობისაგან ეძლევა. მთელი იარაღი იაპონელების მიერ არის აღნუსხული. რუს გენერლის თქმისა არ იყოს, კაპელეველები, იაპონიის სამსახურში, რუს თარჯიმანების როლს თამაშობენ. მთელი საქონელი, რომელიც ინახება საბაჟოში, იყიდება მხოლოდ იაპონელების ნებართვით.

მერკულოვის ადმინისტრაციის, მემარჯვენე ფრთის, გამორჩენილი დეპუტატები, პოლიციას და კონტრმზვერავები, იაპონიის სამსახურში არიან ჩარიცხულნი.

**მთელი იაპონია როდია ჩვენი წინააღმდეგი.**

**მოსკოვი,** 22 დეკემბერი (რადიო). იაპონიის პარლამენტში ოპოზიცია მოითხოვს იაპონიის ჯარის გაყვანას ციმბირიდან. საზოგადოებრივი აზრი მოუთმენლად მოელის ამ ევაკუაციას. გაზეთები უთითებენ იმ გარემოებაზე, რომ იაპონიის ხალხი არასოდეს არ თანაუგრძნობდა ციმბირის წართმევის პოლიტიკას.

**ჩვენი მომავალი მოკავშირე.**

**მოსკოვი,** 22 დეკემბერი (რადიო). პეკინში ჩინელ სტუდენტობამ, იაპონიის საწინააღმდეგოთ დემონსტრაცია მოახდინა. ისინი მოითხოვენ: დაუბრუნდეს ჩინეთს შანდუნი, რომელიც ვაშინგტონის კონფერენციამ იაპონიას გადასცა.

**„დამპყრობელნი".**

**მოსკოვი,** 22 დეკემბერი (რადიო). ჩიტიდან იტყობინებიან: ვლადივოსტოკში დიდი სკანდალი მოხდა მერკულოვსა და კამჩატკის „დამპყრობელ" ბოჩკარიოვ შორის. ბოჩკარიოვს მიუღია მერკულოვისაგან სურსათი ჩამჩატკის ნედლ საქონელზე გადასაცვლელად, მაგრამ ბოჩკარიოვს მერკულოვისთვის არაფერიც არ გაუგზავნია და თვითონ შანხაიში გაქცეულა ამ ნადავლით.

# თბილისის საბჭოს პლენუმი

(დასასრული. იხ. „კომ." № 244)

**ქალაქის რევკომის მოქმედების ანგარიში**

**ამხ. გეგეჭკორის მოხსენება**

**ჯანმრთელობის განყოფილება.**

საკუთრად ჯანმრთელობის განყოფილება ეკუთვნის სახალხო კომისარიატს, ჩვენ კი მხოლოდ სამეურნეო მხრით: ახალი ამბულატორიების გახსნა, ქალაქის დაყოფა უბნებად, საავადმყოფოების წესიერად შენახვა და სხვა. შედარებისათვის ისევ ვიტყვით, რომ ყოფილ არამიანცის საავადმყოფოში, ეხლა პირველ საავადმყოფოში, ტიფიანი ავადმყოფები, განკურნების დროს, ღებულობდნენ ლობიოს და სამ მეოთხედ გირ. მჭადს. ეხლა ასე არ არის. მართალია ამაში მნიშვნელოვანი დახმარება მიუძღვის სასურსათო კომისარიატს, მაგრამ ჩვენ საორგანიზაციო მუშაობამაც გამოიღო თავისი ნაყოფი. ეხლა სამშობიარო სახლები და თავშესაფარნი, მომარაგებულ არიან, ყოველ შემთხვევაში, 100 პროცენტით უკეთესად, ვიხემ წასულ წელში.

საჭიროა აღნიშნოს მუშაობა ზაფხულში გაჩენილ ხოლერის ეპიდემიის სალიკვიდაციოდ. მე არ მოვიყვან აქ ყველა ციფრებს, რომელნიც ახასიათებენ ამ განყოფილების მუშაობას,— როგორც არ მიქნია წინადაც: თუ ეს თქვენ გაინტერესებთ, თითეული განყოფილების გამგეს შეუძლია წარმოგიდგინონ უფრო დაწვრილებითი მოხსენებები:

**ფინანსიური მდგომარეობა.**

როგორც უკვე ვთქვი, იმ თავითვე, ქალაქის რევკომი არ ფიქრობდა შემოსავლის საკუთარი წყაროების გამონახვაზე—პოლიტიკური მომენტი ამას არც ისე უწყობდა ხელს. მაგრამ აგვისტოს შუა რიცხვებიდან ნიადაგი შემოსავლის საკუთარი წყაროების შესაქმნელად უკვე მომზადდა და ქალაქის რევკომი გადადის ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე.

წესდება ფასით ახალი გადიდებული ტარიფები ქალაქის წარმოებათა მიერ გაწეულ სამსახურისათვის,— ტრამვაი, ფუნიკულიორი, წყალსადენი, სასაკლაო, ელექტრონის სადგური და სხვა. ქალაქის რევკომმა შეიტანა მასთან დაარსებულ ეკონომიურ საბჭოს განსახილველად და მისი დასტურით შემოიღო თავის სასარგებლოდ ახალი გადასახადი: სატრაქტირო, სავტოლო, 3 პროცენტისათვის, განცხადებისა და რეკლამებისათვის მუშავდება და განზრახულია მომავალი წლიდან შემოღებულ იქმნას გადასახადი შემოსავლისა, საფუთო და საპატენტო, მაგრამ ყველა ეს გადასახადი ქალაქის წარმოების შემოსავალთან ერთად ვერ დაფარავენ ფრიად საჭირო ქალაქის გასავალსაც, რომ არ ვილაპარაკოთ ერთგვარ გაუმჯობესობაზე. რევკომმა მიაქცია ყურადღება, რომ სავაჭრო შენობები წარმოადგენენ ყველა ოსტატებისათვის, ფრიად სახეირო სპეკულიატიურ საქმეების საგანს და ამის ასაშორებლად, და აგრეთვე კონტროლისათვის,—ჩვენ გამოვაცხადეთ ქალაქში არსებულ ყველა სავაჭრო და საწყობების შენობებისა.

რევკომის მუშაობა უკანასკნელ დროს გადავიდა სწორ საბიუჯეტო სისტემაზედ და ნოემბერში შემოსული გადასახადები ეჭვს არ სტოვებენ, რომ ქალაქის რევკომის მოლოდინი გამართლდება. ივნისის ბოლომდე ქალაქის სალაროში შემოვიდა 195 ნახევარ მილიონი მანეთი. ე. ი., საშუალოდ თვეში 35 მილიონზე მეტი.

ხოლო ივლისიდან 20 ნოემბრამდე შემოვიდა 4550 მილიონი მანეთი. დეკემბერში კი შემოსული 8 მილიარდი მანეთი. ტრაქტირის და სხვა გადასახადმა უნდა მოგვცეს სამ მილიარდამდე, სავაჭრო და საწყობების იჯარა, საბჭოთა სახლების შემოსავალთან ერთად აღემატება 4 მილიარდ მანეთს, თუ ამას მიუმატებთ ქალაქის წარმოებათა შემოსავალს—არა ნაკლებ 4 მილიარდისა,—ყოველთვიური შემოსავალი ქალაქისა გამოიხატება 12 მილიარდ მანეთით, ან წელიწადში 144 მილიარდი მანეთი: მომავალი წლიდან, როდესაც შემოღებულ იქნება შემოსავლისა, საფუთო და საპატენტო გადასახადები და როდესაც დაიწყებს შემოსვლას 4 პროცენტიანი გადარიცხვა ქალაქის სასარგებლოდ, სახელმწიფოს პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადებიდან — წლიურ შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვა მიაღწევს 150 მილიარდ მანეთს. [illegible] უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ წარმოებათა შემოსავლიანობა გამოანგარიშებულია დაბალი განაკვეთით, რომელიც გადიდებულ იქნება. მუშავდება, მაგალითად, პროექტი დაწესდეს წყალის გადასახადი 25—75 მანეთამდე ვედროზე, გადამხდელთა 3 კატეგორიათ დაყოფით. ჩვენ არ ვიცით რა ზომით უნდა მივიღოთ მონაწილეობა სამუშაო ხელფასში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენი შემოსავლის ბიუჯეტი უდრიდეს იქნება გასავლისას.

დღევანდელი დღიდან ჩვენ უარი განვაცხადეთ სახელმწიფო მომარაგებაზედ და 1 იანვრიდან ვცხოვრებთ მხოლოდ საკუთარი საშუალებებით.

ათავებს რა თავის მოხსენებას, ამხ. გეგეჭკორი ამბობს, რომ მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შესაძლებლად სცნო ქალაქის რევკომის მიერ შემუშავებული გეგმა დაედოს საფუძვლად საბჭოს მუშაობას, ის რის გაკეთებაც ვერ შესძლო ქალაქის რევკომმა, შეასრულებენ, ტფილისის პროლეტარიატის 335 საუკეთესო წარმომადგენლები.

**კამათი ამხ. გეგეჭკორის მოხსენების გამო**

ამხ. გეგეჭკორის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ქავთარაძემ, გრიშანოვმა, ფელდმანმა, სტურუამ, ივანოვმა, არუსტანოვმა, მარიამ და მამია ორახელაშვილებმა. ორატორების უმრავლესობა მიუთითებდა არა ნორმალობას სასკოლო საქმის მდგომარეობაში და საბინაო საკითხში. ამხ. გრიშანოვმა აღნიშნა ნაკლი ქალაქის სასაკლაოების მეურნეობაში.

ამხ. მამია ორახელაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ბევრი ხანია მას არ მოუსმენია ასეთი საქმიანი, დასაბუთებული, ფაქტიურ მასალით მდიდარი მოხსენება: ორატორები, რომელნიც კრიტიკას უწევდენ გორრევკომის მოღვაწეობას ეძაოებოდნენ სუსტ

# მენშევიკების ს მეფოს საიდუმლოებანი

XI

**ზოგიერთი დამატებები და დასკვნა**

ჩვენ მიმოხილვებში მოყვანილი მასალები და დოკუმენტები ერთ მთლიან ხასიათს არ ატარებს. ჩვენ ამას გულახდილათ ვაღიარებთ. ეს დამოკიდებული იყო უფრო მეტად იმ მდგომარეობაზე, რომ მენშევიკებმა მასალების მეტი ნაწილი, რომელიც შეეხებოდა მათ საგარეო პოლიტიკას, თან წაიღეს ბრიანის, მილიერანის და ლოიდ ჯორჯის, ერთი სიტყვით მოკავშირეთა სამეფოში, სადაც „მენშევიკების სამეფოს საიდუმლოებანი" დაცული იქნება იმ მასალებთან ერთათ, რომლებიც ინახება ბრწყინვალე „მოკავშირე დემოკრატიის" არქივებში ანტი—ბოლშევიკური კოალიციის მთელი მოქმედებების საკითხების შესახებ.

ჩვენ გახკარგულებაშია მხოლოდ დარჩენილი, ის, რის წაღებაც დაავიწყდათ საჩქარის გამო; ეს ის საბუთებია, რომლებიც ვერ მოსპეს მეორე ინტერნაციონალის რაინდებმა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

გარდა ამისა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ დარჩენილ მასალების საქმეც ვერ მდგომარეობს კარგათ: ადგილობრივ არქივების ქაოტიურ მდგომარეობის გამო ეს მასალები აქამდი გაბნეულია და გაივლის კიდევ ბევრი დრო, სანამ ყოფილ საქართველოს მთავრობის არქივები სათანადო წეს-რიგში მოვიდოდეს. ამნაირათ ჩვენ მიერ მოხდენილი ქართველი მენშევიკების საგარეო პოლიტიკის ნაჩქარევი მიმოხილვა ძალაუნებურათ ატარებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხასიათს. ბევრი, რასაკვირველია, ჩვენ გამოუშვით, მომენტების მთელი რიგი, რომლებიც მეტათ საჭიროა მენშევიკური სამეფოს საგარეო პოლიტიკის გასაგებათ, ჩვენ მიერ გაშუქებულია გაკვრით.

ამ უკანასკნელ მიმოხილვაში ჩვენ გვინდა გაუკეთოთ ზოგიერთი დამატებები წარსულ თავებს.

1.

**მენშევიკების გეგმა რუსეთში „წესრიგის" აღსადგენათ.**

როგორც ეს ჩვენ აღვნიშნეთ, მენშევიკებს, რომლებიც იყვნენ ანტიბოლშევიკური კოალიციის აქტიური მონაწილენი, ჰქონდათ რუსეთში „წესრიგის" აღდგენისა საკუთარი გეგმა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფს ჰქონდა თავის საკუთარი სიტყვა მუშა-გლეხთა რევოლიუციის ჩაქრობის საკითხის შესახებ. ა. ჩხენკელის არქივში ჩვენ ვნახეთ საინტერესო დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს აღნიშნულ საკითხის შესახებ რაღაც მოხსენების მზგავსს, რომელიც ატარებს სათაურს „მოკავშირეები, რუსეთი და ხალხთა თვით გამორკვევის უფლება" ნებას მივცემთ ჩვენ თავს მოვიყვანოთ ამ დოკუმენტიდან უფრო მეტად დამახასიათებელი ადგილები. ა. ჩხენკელი იქიდან იწყებს, რომ აღნიშნავს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიან მოკავშირეებს სათანადოდ გაამტკიცონ ვერსალის ხელშეკრულება.

„ყველა დაბრკოლებები, ვკითხულობთ ჩვენ დოკუმენტში, რომლებიც იბადებიან ამ ჟამათ მოკავშირეების წინაშე და შლიან საერთაშორისო ნორმალურ დამოკიდებულებების აღსადგენათ და ხანგრძლივ ზავის დასამყარებლათ ყველა მათ ცდებს, გამომდინარეობენ უმთავრესათ რუსეთის და არა გერმანიის მდგომარეობიდან. აი, რისთვისაა რომ ყოველი მოაზროვნე ადამიანი იძულებულია დაუყენოს თავის თავს შემდეგი საკითხები: რა ნაირათ შეიძლება წესრიგის აღდგენა რუსეთში? რა საფუძვლებზე უნდა აღსდგეს რუსეთი, რესპუბლიკანურზე თუ მონარქიულზე? იქნებიან თუ არა შეერთებული მომავალ რუსეთში ყველა ხალხები, რომლებიც შედიოდენ წინად ძველი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში? როგორი რუსეთი იქნება წარდგენილი მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე?

ეს მოხსენება შედგენილი იყო 1918 წლის ბოლოში. რუსეთის მდგომარეობის შესახებ ჩხენკელი ლაპარაკობს შემდეგს: „რუსეთის დანგრევა მომხდარი ფაქტია. ყველა ხალხები ჩამოშორდენ რუსეთს. არა თუ პოლონელები, ფინელები, სომხები და ქართველები, რომლებსაც აქვთ საკუთარი ისტორია, ენა, კულტურა, აგრეთვე ლიტველები და ლატიშები, რომლებიც ნაციებს წარმოადგენენ, არამედ უკრაინა, ეს რუსეთის გული, რომლისოთ ველიკოროსიის ცხოვრება თითქმის შეუძლებელია, და სწორედ ამნაირადვე ბელოროსებიც დამდგარი არიან საკუთარ სახელმწიფოს შექმნის გზაზე". „ურევს რა ერთმანეთში მელნის ოპიუმს და ცოფიანი ძაღლის დორბლს", ბოლშევიზმზე, ის მოგვითხრობს: „რაა ეს ბოლშევიზმი და როგორია მისი ფესვები? ეს არაა ძარცვა, ქურდობა, ცინიზმი და არც დემაგოგია, არა ტყვილი და ფარისევლობა, არა მამათა ან მამათა მკვლელობა, არამედ ყველაფერი ეს ერთად აღებული. როდესაც სჩივიან ბოლშევიკების „რეჟიმზე"—სჩადიან დიდ შეცდომას, რადგანაც ბოლშევიზმი ეს უარყოფაა ყოველივე რეჟიმის, ყოველივე სახელმწიფოებრივი სისტემის უარყოფაა; ეს ანარქიის და აბსოლიუტური თვითნებობის სამეფოა".

ამ ღრმა აზროვან წინ წამძღვარებულ სიტყვების შემდეგ მენშევიკების დიპლომატი აკეთებს დასკვნას, რომ ბოლშევიზმი ველიკოროსიის ნაციონალური მოვლენაა, რომლისგანაც თავისუფალი არიან რუსეთის ყველა განაპირა სახელმწიფოები.

ამ მოხსენებაში თავს ესხმის დიპლომატი აგრეთვე მენშევიზმის მონათესავე რუსეთის ეგრედწოდებულ „რევოლიუციონურ დემოკრატიას". მის შესახებ ასკვნის ავტორი, რომ რევოლიუცია მოხდა არა მარტო რევოლიუციონერების მიერ (უკანასკნელი სიტყვები ავტორის ხაზ გასმულია ი. შ.).

მეორე, რომ რუსეთის დემოკრატიამ „ვერ გამოიჩინა შემოქმედების გენია; ის მოსტყუვდა თავის ძალების ძლიერებაში და სავსებით გაკოტრდა. ოქტომბრის გადატრიალების ფაქტი ადასტურებს რუსეთის რევოლიუციის სრულ გაკოტრებას".

ჩხენკელი წინააღმდეგია იმ რუსი დემოკრატებისა, რომლებიც ითხოვენ მოკავშირეების ინტერვენციას, მაგრამ იქვე აღნიშნავენ, რომ დაუშვებელია ჩარევა მოკავშირეებისა რუსეთის შინაურ საქმეებში. ის ახასიათებს ამ პოზიციას ფრანგული ვოდევილის ერთ გმირის სიტყვებით: „გიყვარდეთ, მაგრამ არა ძლიერად, იმავე დროს არა სუსტად, არა ძალიან ვნებიანათ, მაგრამ არც ძალიან ცივად". **არა, მოწყალე ხელმწიფენო, ამბობს მენშევიკი ჩხენკელი: ორში ერთი: ან უნდა იცნოთ ინტერვენციის პრინციპი და მაშინ ხსვაზე ლაპარაკი ზედმეტია; ან ეს პრინციპი მიუღებელია და მაშინ მიანდეთ მოკავშირეებს გააკეთონ ყველაფერი".**

სხვათა შორის შევნიშნავთ, რომ მენშევიკები საქართველოს მიმართ სცნობდენ სავსებით შესაძლებლათ აღნიშნულ ვოდევილის გმირის როლის თამაშს; როგორც ცნობილია, ეს ვაჟბატონები საქართველოში შესაძლებლათ სცნობდენ ეთხოვათ ერთი მხრით ინტერვენცია (თითონ მოიწვიეს გერმანელები, შემდეგში დაჟინებით ეპატიჟებოდენ ინგლისელებს განეგრძოთ მხარის ოკუპაცია), მეორე მხრით, შესაძლებლათ სცნობდენ ელაპარაკათ რაღაც შინაურ საქმეებში ჩარევის მიუღებლობაზე.

შემდეგ მოხსენება ანალიზს უკეთებს ყოველ გვარ პლანებს და პროექტებს რუსეთში წესრიგის აღსადგენათ. ბოლოს ჩხენკელი მიდის შემდეგ დასკვნამდი: „რუსეთი მოკავშირეა და ამიტომ მისი აღდგენა წარმოადგენს პატიოსნების საკითხს ანტანტისათვის; გარდა ამისა, მოკავშირეების მატერიალური ინტერესები, მილიარდი სესხის დაკარგვის შიში უკარნახებს მოკავშირეების ჩარევის საჭიროებას. **ანტანტა ამავე დროს პოლიტიკურათ დაინტერესებულია ბოლო მოუღოს სამოქალაქო ომს და ანარქიას რუსეთში და დაიცვას თავის ხალხის ხახები, ისე როგორც სხვა ქვეყნების ხალხების მასები ცუდი ხაგალითისაგან"... ამ საკითხის ერთად ერთი გადაჭრა ასეთია: წესრიგის აღდგენა შეიძლება მოკავშირეების ორ ხაირი ინტერვენციით რუსეთში: პასიურით და აქტიურით. პირველი გულისხმობს ველიკოროსიის ბლოკადას, მავთულის ღობის შემოვლებას ანარქიის კერის გარშემო. აქტიური ინტერვენცია ეს შეტევაა, რომელიც დაწყებული იქნება ერდროულად ბოლშევიკების ცენტრების წინააღმდეგ. მაგრამ რომ მივაღწიოთ მაქსიმალურ გამარჯვებებს მინიმალურ ძალების და ენერგიის დახარჯვით, საჭიროა სწრაფად და გადაჭრილად მოქმედება... თუ მოკავშირეები გადაწყვეტენ მოაწყონ რუსეთის ინტერვენცია, რომ პირველ შემოტევამ მოახდინოს დიდი შთაბეჭდილება ხალხის მასებზე, რომლებიც გაუღენთილია ბოლშევიზმით, რითაც ის აჩვენებს მათ, რომ შესაძლებელია ბოლშევიკების დამარცხება. საჭიროა აგრეთვე საბოლოო გამარჯვებისათვის ამ ჩხრივ რუსებთან ერთად მოქმედებაზე ხელის აღებაზე, რადგანაც არმია, რომელიც მათგან შესდგება, ვერასოდეს ვერ შეამსუბუქებს ამოცანას, არამედ კიდევ უფრო გაართულებს და გააძლიერებს ბოლშევიკების წინააღმდეგობას.**

**რომ გადაიჭრას აღნიშნული პრობლემა და აგრეთვე ხალხთა ლიგის შესაქმნელ პროექტის რეალიზაციისათვის, საჭიროა მოკავშირეების მიერ აღიარებული ნაციების დამოუკიდებლობის უფლების ცნობა"...**

რომ ეს პროექტი დაედვა საფუძვლათ მენშევიკების დიპლომატების მოქმედებას, მტკიცდება აგრეთვე იმ მოხსენებით, რომელიც გააკეთა ჩხენკელმა 1920 წელს ევროპაში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ აი რას მოგვითხრობს ჩხენკელი: „მე ჩავედი შვეიცარიაში 1918 წლის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში. შვეიცარია ცენტრს წარმოადგენდა. სადაც სდუღდა წვრილი სახელმწიფოების და ნაციების წარმომადგენლების მუშაობა, რომლებსაც უნდოდათ გაეცნოთ თავის ხალხი ევროპისათვის. აქიდან აღევნებდენ თვალყურს დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლები წვრილი ერების პოლიტიკას და მოქმედებას... შვეიცარიაში ჩვენ ვიშოვეთ ბევრი მეგობრები: ცნობილი პროფესორები ბარეო, მიო, ნიპოლდა, კიუნი, პიტარა, მორიო და სხვა ბევრი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები, დეპუტატები, მწერლები და სხვ. ისინი ძალიან დაინტერესებული არიან საქართველოს საკითხებით და ზოგიერთ მათგანს სურს მოვიდნენ საქართველოში, რომ გაეცნონ ადგილობრივ ცხოვრებას. ამ ჩვენ მეგობრებს შორის დაიბადა საქართველო—შვეიცარიის საზოგადოების დაარსების იდეა, რომლის მიზანიც უნდა ყოფილიყო კულტურულ-ეკონომიური და ინტელექტუალური დაახლოვება საქართველოსთან.

**ამ იდეამ შემდეგში მიიღო უფრო ფართო ხასიათი და ეხლა, ჩვენი ინიციატივით, არსდება მეგობრების საზოგადოება ყოფილ რუსეთის განაპირა ქვეყნების ერების განსათავისუფლებლათ. ამ საზოგადოებას ჩვენ მივეცით პროგრამა და მოქმედების პლანი... ეს საზოგადოება არსდება ჟენევაში—ხალხთა ლიგის აღმასრულებელ ორგანოების მომავალ რეზიდენციაში".**

მოყვანილ ჩხენკელის სიტყვებს საჭიროთ ვთვლით დაუმატოთ, რომ აღნიშნულ მიმართულებით ქართველ მენშევიკებთან ერთად მუშაობდა მეორე ინტერნაციონალი, რომელიც ბერნის კონფერენციაზე ამუშავებდა საზავო პირობებს ვერსალის კონფერენციისათვის. მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეობს გავლენა ჰქონდათ ვერსალელებზე. იგივე ჩხენკელი თავის მოხსენების ბოლოში ტყვილა არ ლაპარაკობს... მე ვფიქრობ რომ გაიმარჯვებს ლოიდ ჯორჯის პოლიტიკა, რომელსაც იზიარებს იტალიის მთავრობა და ეს წაგვიყვანს შედარებითი მშვიდობიანობისაკენ. **მე დარწმუნებული ვარ, რომ ინტერნაციონალის და ხალხთა ლიგის მომავალი უზრუნველყოფილია"** („ბორბა" № 10—1920 წ.).

2.

**პროვოკაცია.**

სიტყვა, როგორც ფული, ხშირი ხმარებისაგან ცვდება, ჰკარგავს თავის შინაარს. ეს დაემართა სიტყვას „გამცემლობა". ძნელია ახლა შემთახხმებელთა ბანაკში ვინმეს შეარცხვენა ამ სიტყვით. ამიტომ ჩვენ ვამჯობინებთ ვცხოთ ამის ღირსად ქვევით მოყვანილი დოკუმენტი, მაგრამ ვუწოდებთ მას უფრო ნაკლებათ ხმარებულ სიტყვა „პროვოკაციას". ქვემდებარე დოკუმენტი ეკუთვნის 1920 წლის დასაწყისს, იმ მომენტს, როდესაც დენიკინის ბანდები მოდევენ შავი ზღვის ნაპირებს, სადაც მშრომელი გლეხობა, რომელიც გაანადგურა თეთრგვარდიელების გადასახადებმა, აღელვა მობილისეების მიერ მოხდენილმა მცხოვრებლების მობილიზაციამ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამორად, აჯანყებებს აწყობს და იღებს ხელში იარაღს თავის ტერიტორიიდან თეთრგვარდიელთა სიბინძურის გამოსადევნათ.

ქართველი მენშევიკები, რომლებსაც მიმართავს აჯანყებულებების ხელმძღვანელები მათდამი სიმპატიის გამოცხადებით და თხოვნით დახმარებაზე, აჯანყებულებს ჰპირდებიან მთელ რიგ დაპირებებს, ამყარებენ მათთან მჭიდრო კავშირს, ერთი სიტყვით, აწყობენ ძალათ მეგობრობას. მაშინ თბილისში შავი ზღვის სანაპიროების განთავისუფლებულ კომიტეტს ჰქონდა კიდევაც თავის წარმომადგენლობა. მაშინ როდესაც ქართველი მენშევიკები თავის უკეთესებს აწოდებენ ბულდებს:

**„კონფიდენციალური. პირადათ.**

**1920 წ. 2 თებერვ.**

**№ 76ს.**

დიდათ პატივცემულო მისტერ უორდროპ!

ჩემ მოვალეობათ ვთვლი მივაქციო თქვენი აღმატებულების ყურადღება სოჭის ოლქში შექმნილ მდგომარეობაზე. ჩვენი ცნობების თანახმად, რომლების სიმართლეც არავითარ ეჭვს არ ბადებს, აღნიშნულ ოლქში დაიწყო ფართო ხასიათის მოძრაობა ლების აჯანყება მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა უკვე დაიკავეს ადლერი, ხოსტა და წაართვეს მოწინააღმდეგეებს ოთხი ზარბაზანი და ოცი ტყვიისმტყორცნელები. ამ ჟამად წარმოებს სოჭის ალყა. უნდა ვიფიქროთ, რომ გასული წლის მიგავსათ აჯანყების აფეთქება გამოწვეულია მოხალისეების მიერ გამოცხადებული მობილიზაციით ოლქში.

თქვენი აღმატებულებისათვის, როგორც დიდბრიტანეთის წარმომადგენელისათვის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისათვის, რომლის გვერდთან ხდება აღნიშნული ამბები რასაკვირველია, არ უნდა იყოს განურჩეველი თუ როგორ გახვითარდებიან ისინი შემდეგში. ამიტომ მე ვფიქრობ ეს საკითხი ითხოვს საჭირო საერთო განხილვას და ამა თუ იმ ზომების მიღებას.

მიიღეთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემის გრძნობები და თავდადება.

ე. გეგეჭკორი".

ჩვენ არ ვიცით შესდგა თუ არა შემდეგ გეგეჭკორის და მისტერ უორდროპის ეს კონფიდენციალური თათბირი. მაგრამ ჩვენ ვიცით გარკვევით, რომ აჯანყებულები მაშინ სასტიკად იბრძოდნენ დენიკინის ბანდებთან უსწორო ბრძოლაში. ჩვენ აგრეთვე გარკვევით ვიცით, რომ მისტერ უორდროპი, როგორც ინგლისის წარმომადგენელი, უთუოდ ეხმარებოდა დენიკინის ბანდებს. მოყვანილი დოკუმენტი იმას ლაპარაკობს, რომ მენშევიკი გეგეჭკორი შესაძლებლათ სცნობდა შეთანხმებოდა მოხალისეთა არმიის დამცველს „ამა თუ იმ ზომების მიღებაზე" აჯანყებულებების წინააღმდეგ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აზეფსაც ეს ურცხვობა შეურცხვა მენშევიკ გეგეჭკორის ლალატი პირველი როგორც ვიცით ცალკე მეფის თვითმპყრობელობის ცალკე პირებს, მენშევიკური საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი კი ერთი ხელის მოსმით ლალატობდა მთელ ხალხებს დენიკინის და მოკავშირეებს...

ი. შაფირი.

(დასასრული იქნება).

ცხარეებს საკოლო საქმეში და საბინაო საკითხში—იმათ მხოლოდ განიმეორეს თვით მომხსენებლის შენიშვნები. საბინაო განყოფილებაში დაუზოგველ გასწორებას, თვით ამხ. გეგეჭკორი პირველი მოითხოვდა. აქ არ გაუბათილებიათ მოხსენების არც ციფრები, არც ფაქტები, არ არის შელახული აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებაც—არ აილონ არც ერთი კაპეიკი სახელმწიფო მომარაგებიდან ტფილისის ქალაქის მეურნეობისათვის. სად, რომელ საბჭოთა ქალაქში, მიაღწიეს ასეთ მაქსიმალურ გამარჯვებას ჩვენს პირობებში.

### ამხ. გეგეჭკორის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. გეგეჭკორი უპასუხებს ყველა ოპონენტებს და ყველა შეკითხვის ბარათებზე, რომელნიც მას გადაეცა. იგი ხაზს უსვამს, ქალაქის რევკომის დამსახურებას, რომელმაც არამც თუ შესძლო, ქალაქის მეურნეობის დაცვა, არამედ მისი გაუმჯობესებაც, შემოსავლიანად გადაქცევა. ჩემი წლიწად ნახევრის კომუნალურ საბჭოთა მუშაობის განმავლობაში, ამბობს ამხ. გეგეჭკორი, მე პირველად აქ, ტფილისში, ვხედავ უდიდეს შედეგებს. დღეს ჩვენ ვამცირებთ ჩვენს ემისიას 40 მილიონ მანეთით. განა ეს გამარჯვება არ არის? საქმეთა ვითარებას არ უნდა უყურებდეთ მსუბუქად, მაგრამ იგი კატასტროფიული არ არის—ეს ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ.

### რეზოლუცია

საბჭომ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

მოისმინა რა ამხ. გეგეჭკორის რეზოლუცია, ტფილისის ქალაქს რევკომის მოღვაწეობის შესახებ, ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს პლენუმი ადგენს:

1) ქალაქს რევკომის მოღვაწეობა იქმნას ცნობილი სრულიად დამაკმაყოფილებლად და მოიწონოს;

2) მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს დაწვრილებით განავითაროს საბჭოს უახლოეს სამუშაოს გეგმა და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად პლენუმს;

3) მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს მოსმენილი მოხსენება დამუშავებული სახით, სრული და სწორი ციფრობრივი მასალით დაბეჭდოს ცალკე ბროშიურად და დაურიგოს საბჭოს წევრებს გასაცნობად.

# ქრონიკა

◆ **პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია.** მუშათა სასახლეში გახსნა ასსოციაციის სტუდია, რომელშიაც შეუძლიათ ჩაეწერონ მხოლოდ მუშებს. ასსოციაცია ახლო მომავალში გამოსცემს სტუდიელებისათვის ჟურნალ „საჭედლო". ს. კვირას, 5 საათზე, მუშათა სასახლეში (პატარა დარბაზში) წაკითხული იქნება მოხსენება „პროლეტარულ კულტურაზე". ასოციაციის წევრების რეგისტრაცია ხდება პოლიტიკურ განათლების საააგიტაციო განყოფილებაში, სან. ჭურიძესთან.

◆ **საქ. წითელ არმიის ცენტრალური კლუბი.** შაბათს, 24 დეკემბერს კლუბში (სასახლის ქუჩა, № 5), პეტროგრადის დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ამხ. ნ. არბენინის რეჟისორობით „ახალ ცხოვრებისკენ", დრამა 4 მოქმედებად ვოლსკოსი. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. წარმოდგენის წინ „ზეპირი გაზეთი". დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ბილეთები ოკას და საქ. წითელ არმიის პოლიტგანყოფილებაში.

◆ **ახალი მარკები.** სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციაში შეუდგნენ ს. ს. ს. რესპუბლიკის ახალი საფოსტო მარკების დამზადებას. დაჯილდოვებულ ნახატების მიხედვით.

◆ **ც. მ. კლუბში.** კვირას, 25 დეკემბერს, ცენტრალურ მუშათა კლუბში დაიდგმება ცოცხალი გაზეთი „ვაიკა" № 3.

◆ **არდადეგები.** პროფსაბჭომ დაადგინა განთავისუფლოს მუშათა ფაკულტეტის სტუდენტები საშობაო არდადეგებზე 1922 წ. 1 დან 16 იანვრამდე, ხოლო პროფტეხნიკური კურსების მოსწავლენი მუშათა დღესასწაულებზე, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, სექტორის გამგის დასკვნის მიხედვით.

◆ **ქალაქის გადასახადი შემოდის.** ქალაქის სალაროში იწყო შემოსვლა სხვა და სხვა გადასახადმა, რომელიც აღდგენილია ყ. ქალ. რევკომის ეკონომიური თათბირის მიერ; ასე, კარგად შემოდის ქალაქის სამარკო გადასახადი ბაზრებზე მოვაჭრეებიდან, წარმატებით შემოდის გადასახადი ხელზე ვაჭრობის უფლებისათვის, აგრეთვე იწყო შემოსვლა სატრაქტირო გადასახადმა და სავაჭრო-სამრეწველო შენობების იჯარის ფასმა. დაეგზავნა უწყებები ყველა გადამხდელებს სატრაქტირო, საეტლო და სხვა გადასახადისას, და ქალაქს აგენტები შეუდგნენ ამ გადასახადების აღებას.

## ს. პ. კ. ს. ამხ. კომ. გაფართოებული პლენუმი

### ახალი სატარიფო პოლიტიკა.

**(ამხ. ჯულელის მოხსენება)**

ახალი სატარიფო პოლიტიკა მჭიდროთაა დაკავშირებული ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან. სატარიფო პოლიტიკამ ეგრედ წოდებულ სამხედრო კომუნიზმის დროს სულაც ვერ მიაღწია მიზანს. ჩვენ ვერ აღვადგინეთ დანგრეული სახალხო მეურნეობა, რომელიც მემკვიდრეობათ გვერგო იმპერიალისტურ ომისგან. ამის უმთავრესი მიზეზი იყო არა-უზრუნველყოფილი მდგომარეობა მუშებისა, რომელნიც იღებდნენ საცხოვრებელ მინიმუმის 10-15 პროცენტ. ასეთი მინიმალური სამუშაო ქირა ვერ შეუწყობდა ხელს შრომის ნაყოფიერების გაძლიერებას და დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღდგენას.

პროფკავშირების სრულიად რუსეთის მე 4 ყრილობის შემდეგ, ჩვენი პოლიტიკა სატარიფო საკითხში და შრომის ქირის მოწესრიგება მიდის სრულიად სხვა მიმართულებით. ჩვენ მიზნათ დავისახეთ დავაწესოთ მაგარი მაქსიმუმი და უმთავრესათ სამუშაო ქირის მინიმუმი, რომელიც 40-50 პროცენტით უნდა მიუახლოვდეს საცხოვრებელ მინიმუმს. ამნაირათ ჩვენ წინ დადგა საკითხი სამუშაო ქირის ფონდის შესახებ. ახალი პოლიტიკის ჩასატარებლათ, ჩვენ უეჭველად უნდა გამოვარკვიოთ, რამდენი რესურსი გვაქვს მოსამსახურეების და მუშების უზრუნველსაყოფლათ. მხოლოთ ამ ფონდის განსაზღვრის შემდეგ, ჩვენ შევძლოთ შევუდგეთ ახალ სატარიფო პოლიტიკის ჩატარებას. ეს მუშაობა უკვე ჩავატარეთ. წინანდელ გეგმიან ფონდის ნაცვლათ დაწესებულია მაგარი ფონდი, რომელშიაც შედის როგორც ფულის მისია, ისე სურსათიც. მთელი ეს ფონდი გადაეცემა საფონდო კომისიას ეკონომიურ საბჭოსთან, სადაც უნდა შევიდნენ სასურსათო, ფინანსთა და სხვა კომისარიატების წარმომადგენელნი. ამავე კომისიაში უნდა შევიდეს წარმომადგენელი მუშათა მთლიან კოოპერატივისა, რამდენათაც მის ხელში იქნება სურსათის დამზადება და განაწილება კერძო დაწესებულებათა მუშებსა და მოსამსახურეებს შორის. რომ კარგათ უზრუნველყოფილ იქნენ სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფი მუშები და მოსამსახურეები, თავდაპირველათ საჭიროა იყოს სახელმწიფოს განტვირთვა ისეთ წარმოებათაგან, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფო მნიშვნელობა, და მათი გადაყვანა სამეურნეო კომერციულ ანგარიშზე. ეს საქმეც შევასრულეთ. ჩვენ დავტოვეთ სახელმწიფო მომარაგებაზე განსაკუთრებით სახელმწიფო მნიშვნელობის წარმოებანი და დაწესებულებანი, რომლისთვის გვაქვს განსაზღვრული ფონდი.

ჩვენ დავისახეთ მიზნათ დავაწესოთ სამუშაო ქირის მინიმუმი ნამდვილ საცხოვრებელ მინიმუმის დაქვალათ. ასეთ მინიმუმათ მიგვაჩნია 2,700 კალორი. საცხოვრებელ მინიმუმში შედის არა თუ მარტო საკვები, შედის აგრეთვე ბინა, განათება, ჰიგიენური და კულტურული მოთხოვნილებანი. საკვებისათვის დანიშნულია სამუშაო ქირის 60 პროცენტი, ხოლო დანარჩენი მოთხოვნილებათათვის 40 პროც.

ვსაზღვრავთ რა საცხოვრებელ მინიმუმს, ჩვენ, იქნება, ვერ შევძლოთ მისი სრულად ჩატარება, მაგრამ მისი დაახლოვებით ჩატარება კი აუცილებელია. აქ იბადება თანასწორობის საკითხი, რომლის შესახებ მეტად ბევრი ილაპარაკეს ყრილობებზე და ახალი სატარიფო პოლიტიკის კონფერენციაზეც. რუსეთში მიღებულია შემდეგი შეფარდება დახელოვნებულ და უბრალო შრომას შორის: 1: 5; მაგრამ ჩვენში ასეთი შეფარდება მიუღებელია ჩვენი ობიექტიური პირობების გამო, ამიტომ ჩვენ დავადგინეთ 1: 4, ჩვენ რომ რუსეთის გზას დავადგეთ, დაგვჭირდება შემოკლება უძისოდაც ჩვენი მცირე ფონდისა.

აქამდე ძველი სატარიფო პოლიტიკის დროს არსებობდა 30 ხარისხიანი ცხრილი, რომელიც ეხლა ჩვენში ცნობილია დაუშვებლად, მისი სირთულის გამო და შეცვლილია 17 ხარისხიან ცხრილად. წინად ჩვენ აგრე რიგად მტკიცედ არ მივდევდით 30 ხარისხიან ცხრილის განაწილებას, იმიტომ, რომ განსხვავება ხარისხებს შორის დაჯილდოვების მხრივ იყო მეტად მცირე. ეხლა ეს განსხვავება უნდა სასტიკათ შევასრულოთ, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

17 ხარისხიან ქსელის ღირსება გარდა საერთო სიმარტივისა არის აგრეთვე ისიც რომ გადასვლა ერთი ხარისხიდან მეორეზე არ არის ისე ძნელი, როგორც იყო წინეთ, ამისათვის აღარ არის საჭირო შევეკითხოთ უმაღლეს სატარიფო ორგანოებს. ეხლა ქარხნის სამართველოებს ეძლევათ უფლება მოახდინონ ასეთი გადასხმა, რომელიც გამომდინარეობს ფონდის სინამდვილიდგან.

ამდენხანს არსებული პრემიალური სისტემა წარმოადგენდა ჯამაგირის დამატებას და არსებითად არ იყო დაჯილდოვებული წარმოებითი შრომის გაძლიერებისათვის, ამის გამო იგი ეხლა ყოვლად დაუშვებელია. მის მაგივრად შემოღებული იქნება საქმიანობის სამი ფორმა: საპიეკეტო, ნატურალური და უბრალო. ამის გარდა ზოგიერთ წარმოებებში დაშვებულია მუშების მოგებაში მონაწილეობის მიღება. აი შრომის დაკმაყოფილების ყველა სახეები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ახალ სატარიფო პოლიტიკით. ამდენხანს ჩვენ არ გვქონდა ნამდვილი ფაქტები დაჯილდოებისათვის და ამიტომ დაჯილდოება იყო ფიქტიური, ეხლა კი, როდესაც დამყარებული იქნება ფონდის და შტატის განსაზღვრული მინიმუმი, შრომის ნარდობლივ დაკმაყოფილებას სრულიად შესცვლის ფაქტიური დაჯილდოება. ეს იქნება წარმოებებში, დაწესებულებებში კი შემოღებული იქნება საჯარიმო ფაქტორები: ორგულ მოსამსახურეთა ხარჯზე დაჯილდოებულ იქნებიან ერთგული მოსამსახურენი. ახალ სატარიფო პოლიტიკის გატარება მკაცრად აყენებს კერძო დაწესებულებებში და წარმოებებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა საკითხს.

ამ საკითხს ძლიერ ფრთხილად უნდა მივუდგეთ. ერთის მხრივ ჩვენ დაინტერესებული ვართ მუშაობის სწორ მსვლელობაში, შრომის წარმოების გაძლიერებაში, კონცესიურ წარმოებაში, მეორე მხრით ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ კერძო წარმოების მუშები და მოსამსახურეები გათანასწორებულ იქნენ სახელმწიფო დაწესებულების და წარმოების მუშებთან და მოსამსახურეებთან.

წარმოებებთან ამდენ ხანს არსებული შემფასებელი კომისიები, ჩვენ გადავსწყვიტეთ დროებით დავსტოვოთ, თუმცა რუსეთში ისეთი კომისიები გაუქმებულია. ჩვენი ობიექტიური პირობები გვიკარნახებენ, რომ დრომდი ეს შემფასებელი კომისიები დავსტოვოთ, რადგანაც ჩვენი ქარხნების ძალთველობები შესდგება უმთავრესად თითქმის ყველა ყოფილ ინტელიგენტ მწარმოებელ სპეცებისაგან. კერძო წარმოებებში ყველა კომისიები მედგენილ იქნებიან პარიტეტულ ნიადაგზე. თუ მხარეები რაიმე მიზეზით ვერ შეთანხმდებიან, მაშინ საკითხი გადაიტანება კავშირის უმაღლეს ორგანოში. აი მოკლე გეგმა მეურნეობის აღდგენისა, რომელიც დაისახა საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭომ.

**რეზოლუცია ახალ სატარიფო პოლიტიკის შესახებ.**

მოისმინა რა მოხსენება შრომის ნორმისა და სამუშაო ხელფასის გადახდის შესახებ, ს. პ. კ ს. გაფართოებული პლენუმი აღნიშნავს, რომ ახალ ეკონომიური პოლიტიკის პირობებით წესიერ ნორმის დამყარება და შრომის ხელფასის გადახდა არის მეურნეობის აღდგენის ერთი ძირითადი ფაქტორთაგანი. ამდენ ხანს არსებული მტკიცე ტარიფით შრომის დაკმაყოფილება და მკაცრი ნორმა, რომელიც არაფრით არ აკმაყოფილებდა მუშას; ვერ წარმოადგენდა სტიმულს შრომის ინტენსიურად განვითარებისათვის.

ამდენ ხანს არსებული სახელმწიფოებრივი დაკმაყოფილება სურსათით, ნივთებით და სხვა) მუშების ყოველი დამოკიდებულების გარეშე, სულ უფრო ამცირებდა ფულის ჯამაგირის მნიშვნელობას, რომელიც არსებულ მიზნების საერთო ჯამში წარმოადგენდა უმნიშვნელო რაოდენობას.

სატარიფო პალატას საფუძვლად უნდა დაედოს დაკმაყოფილება შესაძლებლობის საზღვრებში მუშის მოთხოვნილებათა მინიმუმისა სამუშაოს განსაზღვრულ რაოდენობის ასრულებისათვის. ნატურით მიცემის და სახელმწიფოებრივ მზრუნველობის ყოველი სახე უნდა შედიოდეს სამუშაო ხელფასში.

ამასთანავე პლენუმი საჭიროდ სთვლის გვერდი აუაროს შეუსრულებელ დაპირებებს; არამედ დაამყაროს შრომის ხელფასი რესპუბლიკაში არსებულ რესურსებთან შეფარდებით. ამისათვის პლენუმი იწონებს ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებას ყველა მუშების სამ ჯგუფად დაყოფის შესახებ, საწარმოვო მნიშვნელობის მიხედვით და პირველ ხარისხისათვის 450 და 550 ათასი მანეთი ხელფასის დამყარებით, როგორც ძირითადის არსებულ რესურსებზე. აღნიშნული შრომის ხელფასის რაოდენობა პერიოდულად უნდა გადაისინჯოს ხოლმე ბაზრის ფასების შეცვლასთან (სურსათის და ფულის) და რესპუბლიკის ნაღდ ფონდთან შეფარდებით.

ხელფასი უნდა ეძლეოდეთ ნაწილობრივ ფულით, ნაწილობრივ ნატურით. საჭიროა ვეცადოთ, რომ სასურსათო ნაწილი არ იყოს მთელ ხელფასის 40 პროცენტზე ნაკლები. სახელმწიფო წარმოების მუშათა ხელფასის უფრო ხელსაყრელ რეალიზაციისთვის, რომლებიც არ არიან მოხსნილი სახელმწიფოს მომარაგებიდან პლენუმი საჭიროდ სთვლის შეუთანხმდეს გაერთიანებულ მუშათა კოოპერატივს და გადასცეს მას წარმოების საგნების სათანადო რაოდენობა ან და ფულის ნიშნები სურსათის და საჭირო საგნების დასამზადებლად.

შეაქვს რა შრომის ხელფასი, რომელიც უახლოვდება საცხოვრებელ მინიმუმს, რესპუბლიკა იძლევა იმის მაქსიმუმს, რაც ას შეუძლია მოგვცეს. ამისათვის უნდა მივიღოთ, როგორც წესი: „შესაძლებელ ხელფასის მაქსიმუმისათვის—მუშაობის მაქსიმუმი". გამომუშავების ნორმები უნდა იქნეს დადგენილი ტეხნიკურად უმაღლესი, რომელიც შესაძლებელი იქნება კარგ წარმოებისათვის არსებულ პირობებში და მოწყობილებით. ყოველნაირი პრემიალური სისტემები უნდა მოისპოს, მუშის ნამუშევრის შედეგში დაინტერესების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ხელფასის ნარდობლივ დაკმაყოფილების სისტემის შემოღება, რომელიც უფრო მარტივია და ადვილი გასაგებად. ხელფასის სწორი შეთანხმება წარმოადგენს ერთ საუკეთესო საშუალებათაგანს მუშის პირადი ნიჭის გამოსაჩენათ. უკუაგდო რა სრულიად გათანასწორების პრინციპი, პლენუმა საჭიროდ მიაჩნია დაუყონებლივი გადასვლა 17 ხარისხიან სატარიფო ქსელზე, რომელშიაც შევლენ ყველა მუშა—მოსამსახურეები და სპეციალისტები. შეფარდება საერთო სატარიფო ქსელში დამყარდეს 1: 4, ხოლო მუშათა ქსელში 1: 2.

ვსცნობთ რა წარმოებათა და დაწესებულებათა გაჯანსაღების ერთად ერთ ძირითად საშუალებათ შესაძლებელ შტატის დამყარებას და სამუშაო ხელფასის დანაწილების თავიდგან ასაცდენად, ს. პ. კ. ს. პლენუმი შტატების შეკვეცის მუშაობას სთვლის ერთ უმთავრეს ზომად და წინადადებას იძლევა შემდეგში ეს მუშაობა გაარღმაონ, დაიყვანონ წარმოებების და დაწესებულებების შტატები ნამდვილ საჭიროებამდე. განსაკუთრებით არა წარმოებით და კვალიფიციური შრომის ნაწილებში.

შრომის ხელფასი კერძო წარმოებებში უნდა მოწესრიგდეს კოლექტიური ხელშეკრულებებით და უნდა გათვალისწინებულ იქნას მუშათა უზრუნველ ყოფა-ცხოვრების მინიმუმით, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნას ვალდებულებანი მოძრავი „შკალის" შესახებ. წვრილ წარმოებებში ხელფასი მყარდება კავშირის დადგენილებით და კავშირთა შორისო ორგანოს დამტკიცებით.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

**სარედაქციო კოლეგია.**


# განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

**26 დეკემბრიდან გამოვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალ. კომიტეტის**

**ახალი სასოფლო გაზეთი**

## „მიწის მუშა"

**თანამშრომლებათ მიწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:**

ფ მახარაძე—მიწ.-მოქმ. სახ. კომისარი, მ. ორახელაშვილი—ს. კ. პარ. ც. კ. მდივანი, მ. ტოროშელიძე—საქ. სახ. მეურ. უმ. საბჭ თავმჯდომარე, ს. ქვთარაძე—იუსტ. სახალ. კომისარი, ა. ერქომაიშვილი—მომარაგ. სახ. კომისარი, ბ. კვირკელია—შინ. საქ. სახ. კომისარი, დ. კანდელაკი—განათლ. სახ. კომისარი, გ. კუჭაძე—ჯანმრთ. სახ. კომისარი, ა. ჟღენტი—მუშ. და გლ. ინსპ. კომ., ს. თოდრია—სოც. უზრუნ. სახ. კომ., გ. ვაშაძე—უზენ. რევ. ტრიბ. თავმჯდ., თ. კანდელაკი—ს. კომ. პარტ. ც. კ. წევრი, გ. პარკაძე—მ. და გ.ინს. კომ. კოლ. წევრი, ვ. კანდელაკი—მიწ.-მოქ კ—ტის კოლ წევრი, ი. კაკაბაძე, ი. თალაკვაძე, რაჟდენ კალაძე—პოლ. გან. კოლეგიის წევრი, ს. თალაკვაძე—კავროსტას პოლიტიკური კომ. და ა. ქურიძე—პოლ. გან. კოლ. წევრი.

გაზეთი გამოვა კვირაში ორჯელ ორშაბათ-ხუთშაბათობით.

რედაქცია მოთავსებულია გრიბოედოვის ქუჩ., № 19, ტელ. № 13-87.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, 10—2 საათ.

რედაქცია სთხოვს ყველა სამაზრო და საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებში არსებულ გაზეთებს გვიგზავნონ თავიანთი გამოცემის თითო ცალი

პასუხისმგებელი რედაქტორი პავლე მ. საყვარელიძე.


**საბჭოთა.**

— კვირას, 25 დეკემბერს დილის 11 საათზე დანიშნულია კრება თბილისის ყველა ტიპების სასწავლებლის გამგეებისა საჭიროა ცნობები: პირადი შემადგენლობა, რამდენი გაკვეთილი აქვს თვითეულ მასწავლებელს ცენზი, სტაჟი.

კრება დანიშნულია რევკომის შენობის დარბაზში.

განყ. გამგე ლ. რუსაძე.

# საქ. წითელი ახალგაზრდობის ფურცელი № 35

ორგანო საქართველოს ახალგ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა

## კიდევ სააგიტ-საპროპაგანდო მუშაობაზე

ამ რამოდენიმე თვის წინეთ არსებული პოლიტიკურ-განმანათლებელი განყოფილებები, ჩვენი კავშირისა გადაკეთებულ იქნა ე. წ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათ. ამისთვის საჭირო ინსტრუქციები უკვე დაეგზავნა ყველა სამაზრო კომიტეტებს, რომელთაც ევალებოდათ ამ მხრივ საჭირო ნაბიჯების გადადგმა. მთავარი ფუნქცია არსებულ პოლიტიკურ-განმანათლებელ განყოფილებისა მიექცია პარალელურათ ყურადღება კავშირის როგორც პოლიტიკურ, აგრეთვე კულტურულ გათვითცნობიერებისათვის. კულტურული გათვითცნობიერება საქართველოს სხვადასხვა მხარეში სხვადასხვანაირი იყო. არის ისეთი მაზრები, სადაც წევრთა 40 პროც.—60 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. აქ არა თუ ფართე პოლიტიკური მუშაობის წარმოება, სხვადასხვა საფეხურების პოლიტიკური წრეების დაარსება, არამედ კულტურული მუშაობის წარმოებაც შეუძლებელი იყო მანამ, სანამ არ იქნებოდა მოსპობილი ანბანური უცოდინარობა. ამისთვის საჭირო იყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების გახსნა, წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის შემდეგ კი შესაძლებელი გახდებოდა დაწყება კულტურული მუშაობის, სალიტერატურო, დრამატიული და სხვა წრეების დაარსება და აგრეთვე პოლიტიკური წრეების შექმნაც. ეს მისსია პოლიტიკურ-განმანათლებელ განყოფილების არსებობის დროს არ შესრულებულა და ამიტომ ეს კითხვა ოდნავათაც არ იყო გადაწყვეტილი, როდესაც არსებული პოლიტ-განმანებები შეიცვალა საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათ. ბევრ ადგილას ეს ისე გაუგიათ, რომ, იყო თუ არ იყო საჭირო, კულტურულ მხარეს მუშაობისას სავსებით ზურგი შეაქციეს. ჩვენ განსაკუთრებულ ინსტრუქციებში, რომელიც დაეგზავნა საქართველოს კულტურულათ ჩამორჩენილ მაზრებს, ავღნიშნავდით, რომ ისეთ **მხარეებში, როგორიც არის აჭარა, ახალქალაქ-ახალციხის მაზრები, სამხრეთ ოსეთი და ბორჩალო, სადაც საგრძნობი პროცენტი კავშირის წევრებისა წერა-კითხვის უცოდინარია, საჭიროა საგიტ-საპროპაგანდო განყოფილებამ უეჭველად დასტოვოს კულტურული მუშაობა ხელუხლებელი და ეცადოს კულტურული გათვითცნობიერება საჭირო დონეზე დააყენოს** მაგრამ ეს ყველა სამაზრო საგიტ-საპროპაგანდო განყოფილებებს სათანადოთ ვერ გაუგიათ, რაც გამოიხატება მასში, რომ კულტურული მხარე მივიწყებულია და მთელი ყურადღება მხოლოდ პოლიტიკურ მხარეს აქვს მიქცეული, რაიც ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ კიდევ და კიდევ ვიმეორებთ, რომ შეუძლებელია პოლიტიკურმა მუშაობამ, კლუბებში სხვადასხვა საფეხურების წრეების დაარსებამ რაიმე სარგებლობა მოგვიტანოს კავშირის ისეთ მასსაში, სადაც წერა-კითხვაც არ იციან. მაშინ ისინი ერთგვარათ მოუმწიფებელნი აღმოჩნდებიან და ჩვენი მუშაობა გაწირული ამ დარგში უნაყოფოთ დარჩება. არა თუ ზემო დასახელებულ, არამედ კულტურულათ წინ მდგომ მაზრებშიც არ შეიძლება ერთის დაკვრით კულტურული მუშაობისათვის ზურგის შექცევა. ამიტომ საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებებმა, ერთხელ და სამუდამოთ უნდა შეიგნონ, რომ ამ განყოფილების კომპეტენციაში შედის არა მარტო პოლიტიკური ცოდნის შესაძენათ წარმოება მუშაობისა, არამედ მისი გვერდით არა ნაკლებ ყურადღება უნდა ექცეოდეს კულტურულ მუშაობის მხარეს და ბოლომდი მიყვანილ იქნეს დაწყებული მუშაობა კავშირში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ, რაც ბევრათ მეტი სასარგებლოა, ვინემ რამოდენიმე საფეხურის წრეების შექმნა, და ისიც ისეთ მხარეებში, სადაც საერთოთ კულტურული განვითარება ახალგაზრდობისა, რომელიც თავმოყრილია ჩვენ კავშირში ისე როგორც საერთოთ მოსახლეობისა ძლიერ დაბლა დგას.

**დავ-გონი.**

## 10 იანვრის დღესასწაულის შესახებ

**(ყველა სამაზრო სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა საყურადღებოთ,**

ამხანაგებო! 10 იანვარი გამოცხადებულია დღეთ ახალგაზრდობის პრესისა. ამ დღეს უნდა ჩაეყაროს საფუძველი ფონდს, ახალგაზრდობის პრესის არსებობისთვის. აქამდე როგორც იცით, მთელს საბჭოთა ფედერაციაში ყოველ-გვარი ჟურნალ-გაზეთები უფასო იყო, მაგრამ ახალმა ხანამ, ხანამ ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსის აღიარებისამ და მისი გატარებისთვის პრაქტიკულ საშვალებების მიმართვამ დასვა ყველას წინაშე საკითხი, რათა სულიერ საზრდოს საბჭოთა რესპუბლიკაში ფასი დასდებოდა.

ეს კითხვა წამოჭრილი პარტიულ და პროფესიონალურ პრესის წინაშე, ერთგვარათ გავრცელდა ჩვენ (ახალგაზრდათა) პრესაზე და ამიტომ ამიერიდან ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთები თუ სხვა ბეჭდვითი გამოცემანი ჩვენს მიერ უნდა იქნეს ფასდადებული. ეს ნიშნავს მას, რომ ჩვენი პრესა თვით ჩვენ უნდა ვასაზრდოვოთ, თვით ჩვენ უნდა მოუაროთ. ამ მიზნით მომავალ წლიდან არსდება 10 იანვარი დღეთ ჩვენი პრესისა. ამ დღეს უნდა აუხსნათ ყველას, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს პრესას საერთოთ და განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, როდესაც მის ნორჩ გონებას უნდა სათანადო განვითარება და აღზრდა. ამ დღეს უნდა მოვიგონოთ ჩვენ რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის პრესის ისტორია, ამ საუკეთესო ლამპარის კავკასიის და კერძოთ საქართველოს კავშირისთვის. აქვე უნდა ვამცნოთ ყველას ის, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩვენი პრესა საქართველოში, თუ როგორ ნადგურდებოდა ის არსებულ რეჟიმის წყალობით. თუ როგორ ავიწროებდა და ფეხქვეშ სთელავდა „დემოკრატიული" ხელისუფლება მშრომელი ახალგაზრდობის სულიერ საზრდოს, მისი განვითარების წამალს თუ როგორ ბარბაროსობას იჩენდა ის კომუნისტური ახალგაზრდობის პრესის დათრგუნვაში. ფართოთ უნდა აღინიშნოს ის განუზომელი როლი მნიშვნელობა, რომელიც ითამაშა

პრესამ ახალგაზრდობისამ რუსეთში სამოქალაქო ომის ეპოქაში. პრესა ახალგაზრდობისა რუსეთში, „ფურცლები“-ს სახით, იყო მაშინ საუკეთესო იარაღი, საუკეთესო სააგიტაციო-საპროპაგანდო საშუალება, რათა შეეკავშირებია რუსეთის ახალგაზრდობა, მოეწოდებია იგი სამოქალაქო ომში მონაწილეობის მისაღებათ, გასამაგრებლათ წითელი არმიისა, მის რიგებში ჩასადგომად, ხელი შეეწყო მის რაზმების გამრთელებისათვის რევოლიუციის ჯალათების მიერ მოყენებულ ჭრილობებიდან და განემტკიცებინა იგი სულიერათ. ჩვენ ვხედავთ ამიტომ, რომ რამოდენიმე ათი და ასი ათასი შეუდრეკელი, გულადი მებრძოლი მისცა რუსეთის ახალგაზრდობამ სამოქალაქო ომს. მან ამ მხრივ ფრიად განუზომელი მნიშვნელობის როლი ითამაშა. მისმა პრესამ მთელი ამ ხნის განმავლობაში სწორეთ ამ მიზანს ემსახურა. მთელი თავისი ყურადღება სწორეთ აქეთკენ მიაპყრო. სამხედრო მდგომარეობის მშვიდობიანი მდგომარეობითი, მშვიდობიანი განვითარებით შეცვლამ, ნგრევის ხანის აღმშენებლობითი პერიოდით სახელდობრ რუსეთის ეკონომიური მდგომარეობის აღორძინების აუცილებლობამ რადიკალურათ შესცვალა ყოველივე. ამ ძირითად ცვლილებას დაემორჩილა პრესაც.

ახალ ხანაში ახალგაზრდობის პრესის ფუნქციები სავსებით იცვლება. დღეს კვლავ უნდა მიექცეს ყურადღება ახალგაზრდობის გონებრივ განვითარებას, დღეს რამოდენიმეთ მთავარი ყურადღება საჭირია მიექცეს თეორიას, ვინემ სამოქალაქო ომის დროინდელ „პრაქტიკას“; დღეს მარტო „ფურცლები“ ვერ დააკმაყოფილებენ ჩვენი კავშირის მასსების სულიერ მოთხოვნილებას, ის უნდა გაფართოვდეს, განვითარდეს და სხვა გვარი ხასიათი მიიღოს.

ახალგაზრდობას საჭირია ქონდეს ანგარიშ გასაწევი პრესა, მას საჭირია ორიგინალური ორგანოები და საჭიროა მისთვის მეტი გამათვითცნობიერებელი მეცნიერული ხასიათის საზრდოს მიცემა. ამიტომ საჭიროა ახალგაზრდობა თვითვე გაუძღვეს, თვითვე ასაზრდოვოს თავისი პრესა

ამ მიზნით დაარსებულს 10 იანვარს, დღეს ახალგაზრდობის პრესისას საჭიროა შეიქნეს ფონდი, შეიქნეს წყარო, საიდანაც ისაზრდოვებს შემდეგი ჩვენი პრესა საქართველოში სამაზრო საგიტაციო საპროპაგანდო. განყოფილებებმა კარგად უნდა შეიგნონ, გაითვალისწინონ ყოველივე ეს და მოამზადონ ნიადაგი 10 იანვრის შესაფერისად ჩასატარებლათ.

**ა. კ. კ. საგიტ-საპროპაგანდო განყოფილება.**

# სტუდენტობის ირგვლივ

ამ უკანასკნელ დღეებში სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ირგვლივ დატრიალებული ამბები თუმცა უმნიშვნელოა, მაგრამ ყურადღების ღირსია და საჭიროა მისი სწორი ახსნა. ჩვენ ამას წინად 12 დეკემბერს მომხდარ ამბავის შესახებ ვსწერდით, რომ ქართველი სტუდენტობის ზოგიერთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა თავისი საქციელით ნათელჰყვეს და სანქცია უყვეს მთელ თავისი კონტრ-რევოლიუციონურ-შოვინისტურ წმინდა წყლის რეაქციონურ ბუნებას-თქო.

12 დეკემბერს მათ გამოუცხადეს პროტესტი არა ამხ. დუდუჩავას და მის ლექციას, არამედ ამით განიზრახეს ერთგვარი დემონსტრაციის, გამოსვლის მოწყობა არსებულ წესწყობილების წინააღმდევ, გამოხატეს მთელი თავიანთი გულის წყრომა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ესენი არიან ახალგაზრდა „მარქსისტები“, ნემარჯვენე ფედერალისტები და ახალგაზრდა შოვინისტები. ისინი არ სცხრებიან და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცდილობენ ამის გამართლებას. ამას ნათელჰყოფს ამ დღეებში დატრიალებული ამბები ტ. წ. სტუდენტთა სასადილოს ირგვლივ. საბჭოთა ხელისუფლება მეტად, ვინემ რომელიმე სხვა, დაინტერესებულია საქართველოს ახალგაზრდობის აღზრდაში, მის ყოველ მხრივ განვითარებაში, ის დაინტერესებულია მათი კულტურული მხარის გაუმჯობესებაში და ამისთვის კი მათი სოციალური უზრუნველყოფით.

ამ მიზნით სახალხო განათლების კომისარიატის მიერ რამოდენიმე დღის უკან დაარსებულ იქ ნა კომისია სტუდენტთა სოციალურ უზრუნველყოფის კითხვის მოსაგვარებლად და ამ მხრივ უკვე გადაიდგა ზოგიერთი პრაქტიკულ ნაბიჯები. ამ კომისიის ვალდებულება იყო აგრეთვე გაეწია რევიზია სტუდენტთა ყოველგვარ ეკონომიურ ორგანიზაციებისათვის (როგორც არის სასადილო და სხვა), მაგრამ ამ კომისიას თავის მისსიის შესრულებაში გადაეღობა წინ დიდი დაბრკოლება, ეს იყო ჯიუტობა სტუდენტთა გამგეობისა, რომელიც შესდგება ზემოთ ნახსენებ პოლიტიკურ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, რომელთაც არ ისურვეს, რომ მათ შინაურ საქმეში ვინმე „ჩარეოდა“. მათ არ მიიღეს სახალხო განათლების კომისარიატის სარევიზიო კომისია და არ იცნეს ის. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ მთავრობას, რომელიც ნახულობს სასადილოს არსებობაში დიდ დეფიციტს, და რომელსაც სურს მისი გაუმჯობესება, არ აქვს უფლება რომ რევიზია მოახდინოს მისი, ნუ თუ მას არ აქვს უფლება თვალყური ადევნოს იმ ბოროტმოქმედებას, რომელიც ეჭვის გარეშეა არსებობდა სასადილოში და ლიკვიდაცია უყოს მას? სასადილოს გამგეობა კი ამას წინააღუდგა და მთელი ძალღონით შეებრძოლა, რათა მათი **საქმენი სასაზღლონი** მზის სინათლეზე არ გამოტანილიყო. თუმცა ამ მხრივ ვერ შეასრულეს თავისი წადილი. ჩვენ ეს ფაქტი სხვათა შორის მოვიყვანეთ იმიტომ, რომ აღვნუსხოთ ქართველ სტუდენტობის ზოგიერთ პოლიტიკურ ორგანიზაციების თავხედობა.

რაა მათი მიზანი ან რას ქმნის მთელი მათი მოქმედება. ისინი არ სცნობენ არსებულ ხელისუფლებას, როგორც მშრომელთა მასსების სულისკვეთების გამოხატულებას, ისინი არ სცნობენ საჭიროთ, დაექვემდებარონ ამ ხელისუფლების მიერ შექმნილ წესებს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე არღვევენ მათ. ან როგორც „კომუნ.“ სწერდა ამ დღეებში, საბჭოთა ხელისუფლებით ვითომდა მათთვის აღარაფერი შეცვლილიყოს, თითქოს მიუვალი რჩება მათი ავტონომია, თითქოს აღარ შეიძლება შეჭრა მათ კონტრ-რევოლიუციონურ ოჯახში და მათი დროზე დაშლა. ისინი ქმნიან ერთიანად „სახელმწიფოს“ მენშევიკურს, მემარჯვენე ფედერალისტურს საბჭოთა სახელმწიფოში, ისინი აშკარად განზე უდგებიან მას. ისინი საქვეყნოთ ხდიან თავიანთ კონტრ-რევოლიუციონურ და ანტი-საბჭოთა მოქმედებას. აქ კი დაიმახსოვრონ და შეიგნონ ურჩებმა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ მისცემს არავის ამის უფლებას, რომ ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა, საიდანაც არ უნდა იყოს ეს, მის მიერ იქნება ანგარიშ-გაწეული.

მაგრამ საინტერესოა იცოდენ ამ უპასუხისმგებლო ჯგუფებმა, რომლებიც დღითი-დღე სუსტდებიან, რა მოუვიდა ასეთი უგუნური, ჯიუტი პოლიტიკით, მათ ძმებს, მათ თანამოაზრეთ მთელ საბჭოთა ფედერაციაში, დროა უკვე გაიგონ, რომ რუსეთის კონტრ-რევოლიუციონური ინტელიგენცია, როგორც შიგ, ისე გარეთ, დღეს თვით დარწმუნდა საბჭოთა ხელისუფლების სიდიადეში რუსეთის მშრომელთათვის. მის განუზომელ მნიშვნელობაში, და იცნო თავი მის ვალდებულათ ცოდვების მონაწილეობაში და მისი გამაგრების თვის აღმშენებლობითი მუშაობის წარმოებაში. ეს მოხდა არა მარტო რუსეთში, სადაც შეიძლება ისინი რამოდენიმედ იძულებულნი იყვნენ მოქცეულიყვნენ ასე, არამედ საზღვარ-გარეთ „დემოკრატიის“ სამეფოებშიც მყოფი ინტელიგენტებიც ამაში დარწმუნდნენ. რათ სჭირდება ამ განცდის გავლა ქართველ სტუდენტების ხსენებულ ჯგუფებს? ალბად მიტომ, რომ მათი სახელი იქმნეს მოთავსებული საქართველოს მშრომელთა გამძარცველების, ქართველ ემიგრანტების „დემოკრატიული“ ხელისუფლების რეკონსტრუქტორთა ორგანოში — „თავისუფალ საქართველოში“, რომ ჩვენი შეხედულებით მათი ყოველმხრივი ბავშვური, მოუმწიფებელი და დაუფიქრებელი კონტრ-რევოლიუციონური მოქმედება მათ მიერ მოწონებული იქნეს.

აი მათი მიზანი და მთელი ის „შედეგი“, რომელიც მათ მოქმედებას მოყვება. ჩვენი ვალია ამ შემთხვევაში ვაწარმოოთ მეტი გაძლიერებული მუშაობა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა იმ უმრავლესობაში, რომელიც ოდნავად არ თანაუგრძნობს მათ, და არც უნდა აყვეს მათ. თუ სახელმწიფო უნივერსიტეტში ვხედავთ მათი ასეთ თავხედობას, ეს აიხსნება თვით ჩვენი უმოქმედობითაც, რად იქ არ სწარმოებდა საჭირო მუშაობა; ამას ბოლო უნდა მოვუღოთ, რომ საჭირო გზაზე იქმნას დაყენებული სტუდენტთა ფართო მასსები.

**ქართლელი.**

# ამოძრავდნენ!

ამ რამოდენიმე წლის წინათ საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ საზღვარ-გარეთ გაგზავნა რამოდენიმე ათეული სტუდენტი უმაღლესი სწავლის მისაღებათ. რასაკვირველია, წინასწარ ამორჩეულ იქნა ისეთი სტუდენტები, რომლებმაც დაიმსახურეს მთავრობის ყურადღება, რომლებიც ერთგულათ, თავგანწირულებით ემსახურებოდნენ „დემოკრატიის“ იდეებს.—ბურჟუა სპეკულიანტების შვილები და მეჩჩანური ინტელიგენტები, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ მშრომელ მასებთან,—აი ვინ გაიგზავნა სახელმწიფოს ხარჯზე სწავლის გასაგრძელებლათ, აი ვინ უნდა ყოფილიყო საქართველოს მეცნიერების პიონერები მომავალში. საქართველოს მთავრობა აწვდიდა იმათ დახმარებას. მაგრამ როგორც ვიცით ამ მთავრობას დიდი მარცხი მოუვიდა მიმდინარე წელში. რის გამო ის იძულებული იყო სტამბოლისაკენ წაეყვანა თავისი ძლევამოსილების გემი. ახალგაზრდა „სწავლულებს“ საზღვარ-გარეთ მოაკლდა დახმარება. ასეთ გარემოებას ვერ შეურიგდებოდნენ ბურჟუა სპეკულიანტების შვილები: ახალგაზრდა „მარქსისტები“, ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები და ამიტომ იმათ გააჩაღეს საზღვარ-გარეთ ენერგიული აგიტაცია საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. საამისო ცნობები მრავალია. დღეს ყველამ იცის, რომ ყოფილი მთავრობის ბელადები დახეტიალობენ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში, მოლაპარაკება აქვთ გამართული მთავრობებთან და ამავე დროს მუშათა წრეებშიაც ეწევიან აგიტაციას ბოლშევიზმის პრესტიჟის დასაცემათ. და აი თავის ბელადებს გვერდში ამოუდგნენ „ერთგულნი შვილნი“ და მათთან შეხმატკბილებულათ „მოღვაწეობენ“. რა არის მიზანი ასეთი მოღვაწეობის? რამ აიძულა ეს ხალხი „მეცნიერული მუშაობისათვის“ თავი გაენებებიათ და მუშათა მასსებში წასულიყვნენ საგიტაციოთ? იმათი მიზანი არის საქართველოს მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის დამხობა და კვლავ მენშევიკების რეჟიმის აღდგენა. რა გზით, რა მეთოდით შეიძლება ეს? ინტერვენციის საშუალებით. რასაკვირველია, ეს ცდა დამარცხებით დამთავრდება, რადგან იმპერიალისტებს აღარ სწამთ ამიერიდან მენშევიკური დემოკრატიის ძლევამოსილება და საეჭვოა, რომ რაიმე რეალური დახმარება აღმოუჩინოს მათ. მაგრამ მეორეს მხრივ დასავ. ევროპის მუშებში ვერავითარი გამოძახილი ვერ ჰპოვა მათ აგიტაციამ. ეს გასაგებია რადგან დღეს ეს მუშები მიჰყვება არა გაკოტრებულ 2 ინტერნაციონალის ბელადებს, არამედ 3 ინტერნაციონალს. საჭიროა ქართველმა ხალხმა იცოდეს აგრეთვე მოღვაწეობა იმ სტუდენტების ჯგუფისა, რომლის უმრავლესობა „ახალგ. მარქსისტთა“ ბანაკიდან გამოდის და რომლებიც უნდა გახდარიყო საქართველოს მეცნიერების ბელადები. დაე, ეს იცოდეს საქართველოს პროლეტარულმა ახალგაზრდობამ, რომელიც ქმნის ძლიერ ორგანიზაციებს, რომელიც ამაგრებს თავის რიგებს და მტრებთან ბრძოლაში სწავლობს ახალი საზოგადოების შენებას. დას. ევროპის ახალგ. მარქსისტებს კარგა ბლომათ ჰყავს მეგობრები საქართველოში, რომლებიც წუწუნებენ თავისუფლების დაკარგვაზე და მოითხოვენ ლეგალიზაციას. ერთხელ ლეგალური კონფერენციაც კი მოიწვიეს თბილისში. მაგრამ მას შემდეგ რაც დას. ევროპაში „ახალგ. მარქსისტთა“ ბელადები გვერდში ამოუდგა იმპერიალისტურ მთავრობებს და საქართველოშიაც ამ გაკოტრებული ორგანიზაციის თითოეული წევრები იმათ ზურგს უმაგრებენ თავისი ფარული მუშაობით საბჭ. მთავრობის წინააღმდეგ, ჩვენი მთავრობა ვერ მისცემს მათ ნებას განავითარონ თავისი კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობა.

**ქ. ორაგველიძე.**

ქ. მოსკოვი.

# ცირკულიარული წერილი

**ყველა სამაზრო კომიტეტებთან არსებულ საგიტ-საპროპ. განყოფილებებს**

ამხანაგებო! 10 იანვარი გამოცხადებულია რ. ა. კ. კ. მიერ ახალგაზრდობის პრესის დღეთ. ამ **დღის** მიზანია ახალი ეკონომიური პოლიტიკისთვის ანგარიშის გაწევა, რომელმაც წამოაყენა ჩვენ წინ აუცილებლობა მეტი პოპულიარობის მიცემისა ახალგაზრდობის პრესისათვის, მისი საჭირო გავრცელებისთვის მუშათა ახალგაზრდობაში, და რაც მთავარია,—დაყენება პრესის ახალ ნიადაგზე, რომ გაწეული ხარჯები ჩვენი პრესის არსებობისთვის იფარებოდეს თვით ჩვენი წყაროებიდან, ვასაზრდოოთ ის, თვით ჩვენ. ამიერიდან ჩვენი ბეჭვდითი განყოფილების გამოცემანი იქნება ფასიანი, და რომ ეს მოგვარდეს საჭიროა თვით ჩვენ, როგორც დაინტერესებულებმა ამ საქმეში ძივილოთ ახურვალე მონაწილეობა. ამიტომ აუცილებელია ამ დღეს გაკეთებულ იქნეს ჩვენი ორგანიზაციის და აგრეთვე უპარტიო ფართე მასსებში შესაფერი მოხსენებები ამ დღის პოლიტიკურ და ეკონომიურ მნიშვნელობაზე. უნდა შეიქმნას ძლიერი ფონდი, რაც უზრუნველყოფს მატერიალურად ჩვენი ბეჭვდითი ორგანოების არსებობას (ფონდი **ახალგ. პრესის არსებობისთვის** ასეთის სახელწოდებით), ეს შეიძლება ჩვენი წევრთა და აგრეთვე დანარჩენ მოქალაქეთა შორის შემოწირულობის მოგროვებით, სამუშაო ქირიდან რაიმე ნაწილის გადადებით და სხვა. ყველა ამისთვის უნდა შესრულებულ იქნას შემდეგი წესი.

1) გადადებულ იქნას სამუშაო ქირიდან, ჯამაგირის თუ შემოსავლის სხვა და სხვა სახიდან განსაზღვრული პროცენტები ახალგ. პრესის ფონდის შესაქმნელად, ეს მოხდეს დადგენილებების გამოტანით საერთო კრებებზე ორგანიზაციის, იაჩეიკების და ფაბრიკა ქარხნებში მომუშავე ახალგაზრდათა.

2) უნდა გამოიშვას ამ დღეს განსაკუთრებითი ფასიანი „ფურცლები“ გაზეთები და სხვა.

3) უნდა გაიმართოს მაზრის ყოველ კუთხეში სადაც კი ეს მოხერხდება ფასიანი წარმოდგენები, საღამოები და სხვა.

4) უნდა მოეწყოს აგრეთვე ჩვენი კავშირის და უპარტიო ახალგაზრდათა ფართო კრებები სადაც უნდა გაკეთდეს მოხსენებები 10 იანვრის, როგორც **ახალგაზრდათა პრესის დღეთ** დანიშვნის და მისი მიზნის შესახებ.

5) ყველა სამაზრო საგიტ-საპროპ. განყოფილებებმა უნდა შეადგინონ, როგორც სამაზრო ისე სარაიონო კომისიები, რომელთა ვალდებულება იქნება ამ დღის სათანადოთ ჩატარება.

6) წინასწარ უნდა გაკეთებულ იქნას მოხსენებები ორგანიზაციის თუ იაჩეიკების კრებებზე მოსამზადებელი მუშაობის შესახებ ათი იანვრის ჩასატარებლათ.

7) რომ ათი იანვარი სათანადოთ მოწყობილ და ჩატარებულ იქნას ამისთვის საჭიროა კავშირის დაჭერა სახალხო განათლების კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებთან, სახელმწიფო გამომცემლობასთან და სხვა. 10 იანვრის ჩატარების შესახებ ოქმი უნდა გადმოეგზავნოს ც. კ. საგიტ—საპროპ. განყოფილებას.

**ა. კ. კ. ც. კ. საგიტ-საპროპაგანდო განყოფილება.**

# კომუნისტური კავშირის მუშაობა აჭარაში

დღევანდელ ხანას ახასიათებს არა ჩვეულებრივობა, გარდამავალ მომენტში ვიმყოფებით. ელვის სისწრაფით იცვლება ყველაფერი. ძველი ჩვეულება, ძველი ტრადიცია ირღვევა და მის ალაგს იჭერს ახალი ზნეობა, ახალი მორალი. ოქტომბრის ბრწყინვალე რევოლიუციის ძლევამოსილმა სხივმა, შეანათა ყველა ქვეყნებში: არ დარჩენილა არც ერთი ჩამორჩენილი კუთხე, ჩამორჩენილი ქვეყანა, რომელთა შვილების მკერდი არ აეთრთოლებიოს თავისუფლების მაცოცხლებელ სიოს. ყველა გიჟურის გატაცებით დაეწაფა რევოლიუციის ნექტარ ნაკადს. დაჩაგრულმა ხალხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. ამ საზოგადო მოძრაობას არ ჩამორჩა არც ავტონომიური აჭარისტანი. ამ კირჩხალო მთების შვილებმაც შეიგნეს თუ რა დიდია ოქტომბრის რევოლიუციის სიძლიერე. აჭარა მრავალი საუკუნოების განმავლობაში მოკლებული იყო თავისუფლებას.—ჩავარდნილი ბეგების და აღების ხელში ისინი გადაქცეული იყვნენ გაბატონებული კლასის საწველ ფურად.

მასთან თვით აჭარის მთა გორიანი ადგილები ძლიერ ხელს უშლის მიმოსვლას და აღებ-მიცემობის განვითარების, რაიც უპირველესი თავდებია ხალხის გონებრივი განვითარებისა. მათ არ აქვთ გზები, მიმოსვლის საშუალებანი, და ხალხი იძულებულია, მით უმეტეს ზამთრობით, თავის სოფელს არ განშორდეს და კარჩაკეტილი იცხოვროს. დიაღ ასეთ მდგომარეობაში ატარებდა ის მთელი საუკუნოების განმავლობაში თავის სიცოცხლეს. აქ ხალხი პირველყოფილ მდგომარეობაშია.

მაგრამ კომუნისტური რევოლიუციის ცხოველი ალის სიძლიერემ აქაც მოატანა.—ის ვერ შეაჩერა ვერც სალმა კლდეებმა, ვერც მიუვალმა გზებმა, და თავისი შეუპოვარი მედგარი წინსვლით შეანათა, აჭარის ღარიბი ფუხარა ხალხის ქოხშიაც. ფუხარა ხალხმა იგრძნო თავისუფლების ნექტარი გემო და დაეწაფა მას. ის რაც აჭარაში დღეს ხდება,—ისტორიულია.

ფუხარა ხალხის კომიტეტები, ფუხარა ხალხის ყრილობა, წითელი მეჯლისი, აი ის ისტორიული დატა, რამაც საძირკველი ჩაუყარა ავტონომიურ სოციალისტურ საბჭოთა აჭარისტანს.

ყველაფერი ეს დიად მნიშვნელოვანია; მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი მოვლენა აჭარის ფუხარა ხალხის ცხოვრებაში ის არის რომ მათში ვითარდება და ილვიძებს კომუნიზმის სიყვარული კაუცკი თავის წიგნში „ანტიური ქვეყანა“-ში ერთ ერთ ადგილას ამბობს რომ „ჩამორჩენილი ხალხნი ხშირად ისტორიაში უფრო ანვითარებენ პროგრესის გზას და უფრო იღებენ ახალ მოძღვრებას და ეწაფებიან მას, ვიდრე კულტურულად ბევრად მასზე წინ მდგომი ხალხი“-ო. და მართლაც აჭარის ფუხარა ხალხი დიდ ინტერესს იჩენს კომუნისტურ პარტიისადმი. ხალხში შეხვედრებით მუსაიფს, რომ „ჩვენ კომუნისტურმა პარტიამ მოგვიტანა თავისუფლება და ავტონომიაო“. მათში კლასობრივი ბრძოლა უმწვერვალეს წერტილამდე აღწევს. ფუხარა ხალხი ზიზღით უყურებს არა მარტო ბეგებს. არამედ საზოგადოების სხვა მდიდარ ნაწილსაც.

მე ხშირად გავიგონე ხალხისაგან: „აქამდე თუ ბეგები გვაჯენდენ ციხეებში, აწი მათაც ნახონ ციხის გემოო“, ასეთ მდგომარეობაში საჭირო იყო კომუნისტური პროპაგანდა აგიტაციის წარმოება მათში. აქაც ისე როგორც ყოველგან ავანგარდის როლში გამოდის კომუნისტური ახალგაზრდობა! ის არ შეუშინდა აჭარის მიუვალ კირჩხაბი კლდეებს და ღრეებს და თავისი დაუღალავი და შეუდრეკელი ენერგიით, საიმედო ხელით ამ ფრიალო კლდეებზედაც აღმართა წითელი დროშა, დროშა ძმობის, ერთობის და თავისუფლებისა.

კომუნისტური ახალგაზრდობის ბათომის საოლქო კომიტეტმა პირველად თავის ყურადღება მიაპყრო აჭარის ყველაზე უფრო კიდურ ნაწილს ხულოს რაიონს. და აი აქ ხულოს რაიონის ფუხარა მშრომელი ხალხი ირაზმება ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დროშის ქვეშ.

მე მქონდა შემთხვევა მომეწვია ამ რაიონში მიტინგები ამ რაიონის ფუხარა ხალხის. ინიციატორობას მიტინგების მოწყობაში კისრულობდა კომუნისტური კავშირის სოფლის იაჩეიკები. ჩვენი წევრები სიხარულით მუშაობდენ. ხშირად გაიგონებდი მათგან „თავს დავდებ კომუნისტური პარტიის გულისათვისო“. მართალია მათ ჯერ ბევრი რამ არ გაეგებათ კომუნიზმის, მაგრამ კომუნისტური პარტიის მებრძოლთა რიგები და აჭარის მშრომელი ხალხი ჩინებულად შეასრულებს მათზე დაკისრებულ მისიას.

ხულოს რაიონის კომუნისტური კავშირის წევრები წარმოადგენს მოწინავე ნაწილს ამავე რაიონის საზოგადოებისა. მათ გამოგზავნეს რამოდენიმე ამხანაგები პარტშკოლაში, რასაც უდიდესი გავლენა ექნება ზემო აჭარის ცხოვრებაში. ხულოში კომკავშირი შეუდგა კლუბის გახსნას, რაის მოსაწყობად მიღებულია ზომები.

თეატრის და კლუბის მოქმედებას უდიდესი განმანათლებელი მნიშვნელობა ექნება. აჭარელს წარმოდგენაც კი არ აქვს, თეატრზე და კლუბზე. ახალგაზრდა აჭარლებს უდიდესი ინტერესი აქვს სწავლის. გვქონდა შემთხვევა, ერთ 12 წლის ყმაწვილმა დაგვიწყო ვედრება, რომ მას დავხმარებოდით, რათა ის წამოგვეყვანა ბათომში და მიგვებარებია პარტშკოლაში,

ის ამბობდა: დავტოვებ საქონლის წყემსვას და გამოვეპარები მშობლებს! დღეს კომკავშირის ბათომის საოლქო კომიტეტი დამრტყმელი წესით ანვითარებს მუშაობას მთელ აჭარაში გაგზავნილია მთელი რიგი მომუშავე ამხანაგების ზემო და ქვემო აჭარაში. **საჭიროა ცენტრალურმა კომიტეტმა** უაღრესი ყურადღება მიაქციოს აჭარაში მუშაობას. მოწყობილია იაჩეიკები, ხულოს რაიონში, ქედას რაიონში და სხვა... ასობით ირაზმება ჩვენ კავშირის დროშის ქვეშ მშრომელი აჭარლები. დღეს ილვიძებს საუკუნოების ძილისაგან აჭარის ფუხარა ხალხი. დღეს დაჰკრა მათ განთავისუფლების ნეტარმა საათმა.

აჭარის ხალხმა დღეს დაინახა სინათლე, დაინახა ცხოველმყოფელი სხივი ოქტომბრის განმათავისუფლებელ რევოლიუციისა.

ისიც ჩადგა მებრძოლთა რიგში, ყველა დაჩაგრულ ხალხთან ერთად, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ კირჩხაბო მიუვალ მთების შვილები, რომელთა მკერდში, ჰფეთქავს საღი, მკვირცხლი და შეუდრეკელი სული, კომუნისტურის კავშირის დახმარებით დაიკავებს საიმედო ხელში წითელ დროშას და ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში პირველ ადგილს დაიჭერს.

მაშ გაუმარჯოს აჭარის მშრომელი ახალგაზრდობის დარაზმვას, ჩვენ კომუნისტურ კავშირში.

გაუმარჯოს აჭარისტანის ავტონომიას!

გაუმარჯოს ოქტომბრის დიდ რევოლიუციას!

**ი. ვაშაყმაძე.**

# ინფორმაცია ა. კ. კ. წმენდის შესახებ

ა. კ. კავშირის გაწმენდა დაიწყო თითქმის ყველა მაზრებში და თბილისის ორგანიზაციაში 5 დეკემბრიდან. კავშირის ყველა წევრი მას დიდი აღფრთოვანებით და ნდობით შეხვდა, იყო დაინტერესებული რათა საბოლოოთ გაწმენდილიყო მისი რიგები ყველა ზედმეტი და შემოპარულ ელემენტებისაგან. მრავალმა წევრმა რომლებიც შემთხვევით მოხვდა კავშირში, იცოდა რა, რომ კომუნისტურ კავშირში მათ არ აქვთ ადგილი, რომ ისინი წარმოადგენენ მასში უცხო ელემენტებს, გაწმენდის დაწყებისას თვითვე ტყდებოდენ ამაში და თავის ნებით სტოვებდენ კავშირს. ასე მოხდა თბილისის ორგანიზაციის მე IV-რაიონში, რომელშიაც ყოფილან შეპარულნი ბევრი არა საიმედო ელემენტები, პირად გაიძვერულ ინტერესებისათვის. ზოგიერთ მაზრებში გაწმენდა უკვე დამთავრდა და მასალები უკვე მიღებული აქვს ცენტრალურ გამწმენდ კომისიას. გაწმენდის შედეგები ბათუმში, ფოთში, ახალ-ციხეში და ახალ-ქალაქში შემდეგია: ბათუმში 120 წევრისაგან გამორიცხულია 20 წევრი (18 პროც.), ფოთში 175 წევრიდან გამორიცხ. 50. (29 პროც.). ახალციხეში 140 წევრ—გამორიც. 48 წევრი 35 პროც.) და ახალქალაქში 112 წევრ.—გამორიც.—25 წევრი (22 პროც. გაწმენდა დამთავრებულია აგრეთვე შორაპნის და თელავის მაზრებში.

ა. კ. კ. ცენტრალურ გამწმენდი კომისიის მდივანი **შახოვიხა.**

# ჩვენს კავშირში

**დ. ჩხარი.**

1921 წ. 11 დეკემბერს, შესდგა ჩხარის ახალგაზრდათა კომკავშირის წევრთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 22 ამხანაგი. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხი მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ. მოხსენება ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაზე გააკეთა კომკავშირის წევრმა ამხ. მ. სიმგულოვმა. ამხ. ფართოთ შეეხო, ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის მნიშვნელობას და დაახასიათა, თუ რა მნიშვნელობა ექნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას, პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროებში. მოისმინა რა კრებამ, მოხსენება ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ, ერთხმათ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია. მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. მ. სიმგულოვისა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, რომელიც აუცილებელია სამი მოძმე რესპუბლიკების პოლიტიკურ და ეკონომიურ გაძლიერებისათვის, და რომელიც მოსპობს ერთა შორის მტრობას და შუღლს, ამიტომ ვუერთდებით კავ-ბიუროს დადგენილებას და ხელს შეუწყობთ მის ცხოვრებაში გატარებას.

**ფანჩულაძე.**

**ვანის რაიონი (ქუთ. მაზრა).**

შემდგარი არის ამ რაიონში საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგია, რომელიც სისტემატიურათ აწარმოებს მეცადინეობას კვირაში 4 დღეს და შემდეგ იგზავნებიან იაჩეიკებში მოხსენებების გასაკეთებლათ ყველა იაჩეიკებში ჩატარდა მოხსენებები „პირველყოფილ კომუნიზმზე“ კერძო საკუთრების, ოჯახის და სახელმწიფოს წარმოშობაზე „მონობაზე“ და უკანასკნელათ „ფეოდალიზმზე“ საგიტაციო-საპროპაგანდო განყ. ეხლა გადის კაპიტალიზმს და მუშათა მოძრაობის ისტორიას. რის შემდეგაც ეს მოხსენებები ჩატარდება იაჩეიკებში. იაჩეიკების კრებები ხდება კვირაში ერთხელ, სადაც გარდა მოხსენებისა, ამა თუ იმ თეორეტიულ თუ პრაქტ. საკითხებზე ხდება მეცადინეობა „კომ. ანბანიდან“ და ირჩევა სხვა და სხვა საკითხები. ამ უკანასკნელათ ჩატარდა რაიკომის მიერ საავ. კომპანია (კავშირში ამიერ-კავკასიის ფედერაციის ირგვლივ, და ყველგან ამიერ-კავკასიის ფედერაციის აზრს დიდის აღფრთოვანებით და თანაგრძობით ეგებებიან...

**გ. ხულორელი.**

# ქრონიკა

25 დეკემბრისთვის გამოვა ჟურნალ „მომავლის“ № 2. ჟურნალი ეღირება ყველგან 5,000 მანეთი

# ჩვენი ფოსტა

ყველა პროვინციულ კორესპოდენტებს. გამოგზავნეთ წერილები ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ.

**შორაპანში** ამხ. აეტი გეწაძეს თქვენი ლექსი მოთავსდება გაზეთში, რომელიც გამოიცემა 1 იანვარს. გამოგზავნეთ მეტი შინაარსიანი ლექსები.

**ვანში** ამხ. გ. სულორელს—გამოგზავნეთ ყველა მასალები ჟურნალ „მომავალისთვის“-ს როგორც დაწერილი გაქვთ ისე.

მ. გაჩეჩილაძეს. გამოგზავნეთ მასალები ჟურნალ „მომავალი“-ს № 3.

ტირაჟი 10,000 ნ. ტ. ს. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტეინის ქ., № 5.